№ 2995
შაბათი,
4 თებერვალი

გრ.

ცნობის ფურცელი

№ 2995
შაბათი,
4 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დ-დ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავენ, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს
„ცნობის ფურცელი"
სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით **ერთის წლით 6** მან.
ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით **ერთის წლით 11** მან.
ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

„ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი **„ნაპერწკალი"**.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

სერგეი და ტიგრანა ივანეს ძე ყარაჯევები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას დაუვიწყარის ძმისა

სტეფანე ივანეს ძის ყარაჯევისას.

დაკრძალვა მოხდება კვირას, 5 თებერვალს, პანაშვიდი დღეს საღამოს 5 საათზე. თუმანოვის ქ. № 25. გამოსვენება ღვთის მშობლის ეკლესიაში, მიხაილოვის ქ.

კვირას, 5 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 12 საათზედ გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის მესტამბე

ექვთიმე ივანეს ძის ხელაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს მეგობართ და ნაცნობთ ქვრივი გარდაცვალებულისა ეკატერინე დავითის ასული ხელაძისა შვილებითურთ. (2—41—1)

თ-დი ალექსანდრე დიმიტრის ძე თუმანიშვილი, მეუღლე მისი მარიამ სოლომონის ასული, სოფიო, ლუბა და ნერსეს მარიანოვები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი დედის, მეორე დედამთილის, ხოლო უკანასკნელნი დეიდის

კნ. მარიამ მიხეილის ასულის თუმანიშვილისას,

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია 5 თებერვალს, დილის 10 საათზე. ქ. ქუთაისში. პანაშვიდი ყოველ დღე 12 საათზე. (1—6.—1)

ბარბარე გაბრიელის ასული კლიმიაშვილისა, მიხეილ იოსების ძე და გიორგი იოსების ძე კლიმიაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელის მეუღლის, ხოლო უკანასკნელნი უძვირფასესის მამის

იოსებ ნიკოლოზის ძის კლიმიაშვილისას

სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის დაკრძალვის დღეს კვირას, თებერვლის 5-ს, სოფ. მჭადისჯვარში. (2—1)

დავით და ნიკოლოზ იასეს ძენი ზალდასტანიშვილები და თებრონია იესეს ასული კობიაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 4 თებერვალს, მათის ძმის

ალექსანდრე იესეს ძის ზალდასტანიშვილის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

დილით ქართული წარმოდგენა არტისტიულ საზოგადოების თეატრში **დილით**

კვირას, 5 თებერვალს, 1906 წ., ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **სვ. სვიმონიძის საბენეფისოდ**

ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზედ

პატიოსნება

კომედია 4 მოქმ., ზუდერმანისა, თარგ. არტ. ახნაზაროვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ლ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ა. ნებიერიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, ჟივიძე.

წარმოდგენა დაიწყება დილის $12^1/_2$ საათზე. გათავდება 3-ზე.

ადგილების ფასი: ლოჟები 2-დან 4-მდე, ბალკონი 40 კ-დან 60 კ-მდე, პარტერი 50 კ-დან 2 მ-მდე, გალერია 25 კ-დან 30 კ-მდე. შეგირდებისათვის—30 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად „ორი გმირი" ისტ. დრამა, გურულების ცხოვრებიდან, „ავადმყოფი ხალხი" „ნიაღვარი", „ღალატი".

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ტფ. თათარ-სომეხთა შეტაკების დროს

დაიკარგა მილიციონერი

ივანე ანდრიას ძე ტორიკაშვილი. 23 წლისა, საშუალო ტანისა, შავგრიმანი, შავ თვალ-წარბა, შავ წვერ-ულვაშებიანი. ვინც რამ იცის ან გაიგოს იმის შესახებ, ვთხოვ შემატყობინონ მე, იმის ძმას სიმონ ანდრიას ძე ტორიკაშვილს, „ცნობ. ფურ.". რედაქციის ადრესით.

P. S. ვთხოვ ადგილობრივ სომხურ და აგრეთვე თათრულ გაზეთებს გადაჰბეჭდონ ეს ჩემი განცხადება. (უ. 6—2)

ა. პ. შულგინა-მესხი

გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის ღალმართი № 1 (თვ.)

გ. ბედიაას წიგნის მაღაზიაში

იყიდება

მრავალი თანამედროვე წიგნები რუსულ და ქართულ ენებზე.

წიგნის მაღაზიის ადრესი: ტფილისი კიროჩნის ქ. № 7. (10—7)

მედიცინის დოქტორი

ვ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 საათ.—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (51—368—53)

ექიმი

გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (31—6.—27)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

ტფილისი, 3 თებერვალი.

სამინისტრო და 17 ოქტომბრის მანიფესტი.

ისტორიაში ზოგჯერ უცნაური ამბავი ხდება: ერთი რამ მხარე ცხოვრებისა ისე ვითარდება, რომ თვით ეს განვითარებაც მოუღებს ხოლმე ბოლოს. ასეთ მაგალითსა ვხედავთ დღესაც. ხალხში რეაქციონურმა მიმართულებამ იმ წამსვე იჩინა თავი, რა წამსაც „თავისუფლების დღენი" დაგვიდგა. იგი გამოიხატა ორნაირად: ერთის მხრით ხულიგანებმა დაიწყეს ხალხის აკლება და აწიოკება, მეორეს მხრით სისტემატიურ მოქმედებას შეუდგნენ შავი რაზმები. პირველ ხანებში მხოლოდ ამით იხატებოდა რეაქცია და, რაც დრო გადიოდა, იგი უფრო და უფრო ვითარდებოდა. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ „განჰქრნენ დღენი შვებისა" და ქვეყანა საშინელმა წყვდიადმა მოიცვა. დეკემბრის და იანვრის რეაქციასთან შედარებით ჰქრება 81 წლიდან დაწყებული და, ასე გასინჯეთ, თვით ნიკოლოზ პირველის დროის რეაქციაც-კი, რეაქცია გამარჯვებულია, ძალა ხელთა აქვს...

მაგრამ სახელმწიფოს სათავეში მყოფთ კარგად ესმით, რომ ასეთ მოქმედების სამუდამოდ დაკანონება არ შეიძლება, ამასთან ძირითად კანონების შემუშავებაც საჭიროა. 17 ოქტომბრის მანიფესტი გამოსულია, იმისი უარყოფა თვით უმაღლეს უფლების უარყოფა იქნება, ე. ი. იმისი, ვისი სახელის სანქციითაც ხდება ეხლა მოძრაობის დამშვიდება. ამიტომ თვით რეაქციის მომქმედნი იძულებულნი არიან იფიქრონ ახალ კანონების შეფარდება 17 ოქტომბრის მანიფესტთან, რომ თვითვე არ უარჰყონ უფლება და დაკანონების სანქცია არ მისცენ ანარქიას. აი, ასეთ ორჭოფ მდგომარეობაშია ამ ჟამად მინისტრთა საბჭო და ამიტომ ყოველი კანონს, რომლის შემუშავებასაც სხვიმას ძლიერ დიდი დრო არ მოუნდებოდა, ეხლა რამდენსამე კრებას ანდომებენ. ყოველივე უბრალო საკითხი დიდ უთანხმოებას და კამათს იწვევს მინისტრთა შორის. თუ გაზეთებს დავუჯერებთ, კანონების შემუშავების დროს ერთი ნაწილი მინისტრებისა უფრო იმაზე ფიქრობს, რომ როგორმე დააკანონოს ზოგიერთი სასტიკი ზომა, რომელიც ეხლა მოქმედებს. დეპეშებმაც გვაუწყეს, რომ ეს კანონები, სხვა და სხვა თავისუფლების შემზღუდველი, ძლიერ მალე იქნება შემუშავებულიო. ამ კანონებს ეკუთვნის, სხვათა შორის, სამხედრო სამართალში მიცემა და სიკვდილით დასჯა იმათი, ვინც თანამდებობის პირთ მოჰკლავს, შეზღუდვა კრებებისა და კავშირების თავისუფლებისა და სხვა ამისთანა. 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით, ყველა პარტიას კრების გამართვის უფლება უნდა ჰქონდეს. ეხლა კი, სამხედრო წესების ძალით, არც ერთ სოციალისტურ პარტიას შეძლება არა აქვს კრება გამართოს. მმართველთა და საზოგადოების ერთის ნაწილისათვის ხელსაყარია ეს, რადგან არჩევნები უფლებრივ პარტიების მონოპოლიად გახდება (კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიასაც ზოგ პროვინციაში დღემდე არ აძლევენ კრებების გამართვის უფლებას). ამიტომაც ცდილობენ, 17 ოქტომბრის მანიფესტს, ე. ი. კრებების თავისუფლებას, როგორმე ისეთი განსაზღვრა მისცენ, რომ ფაქტიურად ეხლანდელი მდგომარეობა შემდეგისთვისაც დასტოვონ. აი ამისთვის მოიგონეს, მაგალითად, შემდეგი: კრებების მოხდენა შეუძლიან ყველას, მხოლოდ სხვა და სხვა ფორმალურ წესის დაცვით და (დურნოვოს პროექტით) კრების გამმართველის პასუხისგებით, თუ იგი არ დაუხურავს კრებას, როდესაც იქ მყოფი პოლიციის მოხელე მოითხოვს ამას. პოლიციის მოხელე-კი დახურვას მოითხოვს მაშინ, როდესაც ლაპარაკი იქნება მოხელეთა ამა თუ იმ უსამართლობაზე ან კლასსიურ ანტაგონიზმზე, გარდა ამისა დურნოვოს მეორე პროექტით უნდა დაწესდეს სასჯელი იმათთვის, ვინც ისეთ სიტყვას წარმოსთქვამს, რომ საზოგადოების ერთ ნაწილს მეორეზე წააქეზებს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ პირდაპირ სოციალისტური მოძღვრება აქვს მინისტრს მხედველობაში. თუ ეს პროექტი განხორციელდა, მაშინ მართლაც დაკანონდება ეხლანდელი მდგომარეობა. დურნოვოს შემოქმედებითი ნიჭი არა ჰკლებია და, ეტყობა, მიხვედრილი კაციც ყოფილა.

საყურადღებოა აგრეთვე პროექტი მეორე გონება-მახვილ მინისტრის აკიმოვისა. ამ პროექტით უნდა დაისაჯნენ ისინი, ვინც ცრუ ხმებს გაავრცელებს უმაღლეს პირთა და დაწესებულებათა შესახებ. რასაკვირველია, მართლის ლაპარაკი კარგი საქმეა, მაგრამ სადღა ვიპოვოთ წყარო ამ სიმართლისა? არა თუ ბიუროკრატიულ დაწესებულებებში კაცს არ უშვებენ სიმართლის გასაგებად, თვით სახელმწიფო სათათბიროს კრებებიც-კი კანონით დახურული უნდა იყოს. ამ რიგად, თუ ანგარიშს თვით მთავრობა არ გამოაქვეყნებს, რა წყაროდან უნდა ისაზრდოოს მართლის ამბებით მკითხველმა, რომელიც იქამდის მომწიფდა, რომ სახელმწიფო საქმეების გაგების სურვილს აცხადებს. ამისთანა კანონპროექტით მინისტრმა ისა სთქვა, რომ საზოგადოებას სჭირდება სიმართლის გაგება სახელმწიფო საქმეების შესახებაო. ამის იქითაც რომ პოლიტიკურის მსჯელობით წასულიყო, ეჭვი არ არის, იმ აზრს დაადგებოდა, რომ საჭიროა თვით მთავრობამ აცხადოს ხოლმე ყოველივე კრებების ანგარიში: როგორც მინისტრთა საბჭოსი, ისე სახელმწიფო საბჭოსი, ეს განსაკუთრებით საჭიროა ეხლა როდესაც მცხოვრები გაფაციცებით ადევნებს თვალყურს მინისტრის მიერ კანონების შემუშავების საქმეს.

ასეთ ორჭოფ მდგომარეობაში არიან ამ ჟამად სახელმწიფოს სათავეში მდგომნი. ეხლა, როგორც გაზ. „ნ. ჟ."-მა გვამცნო, მინისტრთა საბჭოში მემარცხენე პარტია იმარჯვებსო და კანონი თავისუფლებათა შესახებ ნაკლებ უთანხმოებას იწვევს. თუ ეს ჭეშმარიტებაა, მაშინ მართლდება ჩვენ მიერ ზემოდ ნათქვამი სიტყვა. სახელმწიფოს სათავეში მდგომნი კედელს მიადგნენ: ან უნდა დაბრუნდნენ, ან გაანგრიონ კედელი. დანგრევა კედლისა საშიშია ყველაზე მეტად მათთვის, რადგან ნანგრევები მათაც დაიტანს. ერთად-ერთი გზა მთავრობისთვის 17 ოქტომბრის გზაა. ან უნდა უარჰყონ თავიანთი ინტერესები ან დაუბრუნონ 17 ოქტომბრის მანიფესტს, განახორციელონ ამ მანიფესტით აღვიარებული თავისუფლებანი და ხალხს შეძლება მისცენ თავის ძალების განვითარებისა.

დასავლეთ საქართველოში

გზა და გზა (დასასრული იხილე 2 თებერვლის „ცნ. ფურ."). კარგა ხნის შემდეგ რიონიდან ქუთაისის მატარებელიც დაიძრა და ხვნეშითა და გმინვით მივედით დასავლეთ საქართველოს დედა-ქალაქში. სადგურზე კაცი არსად არა სჩანდა. ეტლი ორი აღმოჩნდა და ვინც მოასწრო, წაიყვანა, ხოლო სხვებმა ფეხით გაისეირნეს. მე ბარგი არა მქონდა და გავეშურე ბულვარის მიდამოებისაკენ, სადაც ქალაქი უფრო მეტად დაზარალებული უნდა ყოფილიყო ხალხის ლაპარაკით.

ბულვარი მთლად ცარიელი დამხვდა, თუმცა დილის ათ საათზე მეტი იყო და მშვენიერი დარი იდგა. ვიკითხე მიზეზი ასეთის არა ჩვეულებრივის მოვლენისა ქუთაისში და პასუხად მივიღე, რომ ბულვარში შესვლა, აფიცრებისა და ჩინოვნიკების გარდა, ყველას აკრძალული აქვსო.

არ მეჭაშნიკა ასეთი განკარგულება, მაგრამ რას ვიზამდი, ავუქციე ბულვარს მხარი და წაველი ქვემოდ თეატრისაკენ, რომელიც, გაზეთების სიტყვით, დამწვარი უნდა ყოფილიყო. ჯერ თეატრთან მისული არ ვიყავი, რომ ჯარის კაცების გუნდი შემხვდა იმ ადგილას, სადაც წინად სასტუმრო „როსია" იყო მოთავსებული. რო გამოვიკითხე მიზეზი ასეთის შეკრებილებისა, მითხრეს, რომ ეს შენობა ჯარის-კაცების კაზარმად არის გადაკეთებული იმიტომ, რომ „ამ სახლში რევოლიუციონერების კლუბი იყო მოთავსებულიო". ჯერ—სახლის განადგურება უნდოდათო და მერე მოწყალება მოიღეს და დანგრევის მაგივრად კაზარმებად გადააკეთესო. გადავიარე ქუჩა და მივუახლოვდი მუნჯიევის საკონდიტეროს, სადაც ყავის დალევას ვაპირობდი. ჯერ კარი არ გამეღო, რომ სიმღერა შემომესმა და შევჩერდი. სარკმელიდან დავინახე, რომ ჯარის-კაცები სიმღერასა და ცეკვაში არ თობდნენ თავს—მივხვდი, რომ ეს სახლიც კაზარმად არის გადაქცეული და გამოვბრუნდი.

თეატრი დამწვარი არ არის—ცოტა დაზიანებულია ბულვარის მხრით და ბევრი ხარჯი არ დასჭირდება შეკეთებას, სამაგიეროდ რაც-კი სახლებია სესიევის საკონდიტეროდან დაწყებული გველესიანის სახლამდე, ყველა დამწვარია; გადარჩენილა რაღაც მანქანებით გველესიანის სახლის ის ნაწილი, სადაც გუბერნიის სამმართველოა მოთავსებული, დანარჩენი მთლად გადაბუგულია. გადამწვარია ეგრეთვე რამდენიმე მაღაზია მიხეილისა და გიმნაზიის ქუჩების კუთხეში. ყოველივე ეს საშინელ სანახაობას წარმოადგენს და რომ დაუფიქრდები, ვერ გაგიგია—რამ გაშმაგათ ასე, რომ უწყალოდ სწვავენ და დაგავენ ხალხის სიმდიდრეს. ვინც ქუთაისში ყოფილა, იმან კარგად იცის, რომ საუკეთესო ნაწილი ქალაქისა ის არის, რომელიც ბულვარს გარს ახვევია—საუკეთესო შენობები და მაღაზიები ქალაქისა აქ არის. იანვრის თერთმეტიდან დაწყებული, ესე იგი სამხედრო წესების შემოღების დღიდან, გადაიწვა მეოთხედზე მეტი იმ შენობებისა და მაღაზიებისა, რომელიც ბულვართან არის მოთავსებული. უმეტესი ნაწილი დამწვარ საქონლისა დაუზღვეველია თურმე და დაზღვეულიც რომ ყოფილიყო, საფასურს თურმე ვერ მიიღებდნენ, რადგან დამზღვევი საზოგადოებანი წესდების ძალით მოვალენი არ არიან ამისთანა პირობებში დამწვარი საქონელი ზღონ.

დავათვალიერე სხვა მაღაზიები—მინდოდა გამეგო, ცეცხლისაგან გადარჩენილი ვაჭრები რა გუნებაზე არიან. გამოკითხვა არ დამჭირდა—სადაც-კი შევედი, სავაჭროთი სავსე მაღაზიების მაგივრად, დაცალიერებული დუქნები დამხვდა. ყველას თურმე შიში აქვს ცეცხლის გაჩენისა და ვისაც რა ებადა, გადაუჩქმალავს ცეცხლის გაჩენის მოლოდინში. ცხვირსახოცის ყიდვა რომ დაგჭირდეთ ეხლა ქუთაისში, ვერ იშოვნით, ისე დაცალიერებულია მაღაზიები. რაც ცეცხლმა დააკლო ქუთაისის ვაჭრებს, ის არ აკმარეს: ძარცვა-გლეჯამ და განადგურების სურვილმა, როგორცა სჩანს, უფრო მეტი ზარალი მიაყენა ქალაქს, ვიდრე ცეცხლმა. ვაჭარს ვერ ნახავთ, რომ ცხარის ცრემლით არა სტიროდეს დარბევის გამო. დარბევას კიდევ გაუძლებდა კაცი,—სთქვა ერთმა ვაჭარმა, რომ დარბევასთან ერთად საქონელს არ ახდენდნენ წამლებიო.

ვიყავი კირაკოზოვის, საბაევისა და ფილიპოვის, ოჰანეზოვისა და სხვათა მაღაზიებში—წინად სავაჭროთი სავსე მაღაზიები, ეხლა მთლად დაცალიერებულია. ერთს ვკითხე მიზეზი და მიამბო შემდეგი: 27 იანვარს რომ ცეცხლი გაჩნდა ბულვართან, მაშინვე გავწიე ჩემის მაღაზიისაკენ. ჯერ კიდევ შორს ვიყავი, რომ სროლის ხმა შემომესმა; რაც უფრო მივდიოდი, მით სროლა ძლიერდებოდა. პატარა ხანს უკან შევჩერდი—მაღაზიისაკენ წასვლა საშიშო იყო. სროლამ კარგა ხანს გასტანა, ცეცხლი ძლიერდებოდა; ის ფიქრი, რომ ვაი თუ ჩემი ქონება იწვის, მოსვენებას არ მაძლევდა. გავწიე ფეხ-აკრეფით, მივუახლოვდი ჩემს მაღაზიას, ცეცხლი არ ეკიდა, გული იმედით ამევსო, მაგრამ მალე გამიქარწყლდა—ჩემის მაღაზიის კარები შემტვრეული იყო და გამოჰქონდათ ნივთები, ტვირთავდნენ ამხანაგებს და მიჰქონდათ. ჩემის თვალით ვუყურებდი ჩემ აოხრებას და გულხელ დაკრეფილი ვიდექ, რადგან ვიცოდი, არაფერი გამივიდოდა. ამ ნაირივე სურათი ვნახე სხვა მაღაზიებთან.

დამწვარი და აოხრებული მაღაზიები გარდა ბევრია და აწერა ნანახ სურათისა განმეორება იქნება ზევით თქმულისა.

ზარალის რაოდენობის აღნიშვნა ძნელი საქმეა, მაგრამ ეს კი შემიძლია ვთქვა, რომ იგი მილიონებით დაითვლება. დიდი ხანი მოუნდება ღარიბ ქუთაისს, ვიდრე ძალას მოიკრებს და აღადგენს იმას, რაც ცეცხლისა და ძარცვისაგან განადგურებულია.

მოქალაქენი ყოფილან გენერალ-გუბერნატორთან თავად-აზნაურთა წინამძღოლის ს. წერეთლის მეთაურობით, უცნობებიათ თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობა და უთხოვნიათ ზომების მიღება იმის წინააღმდეგ, რაც ეხლა ქუთაისში ხდება. გენერალ ალიხანოვს პასუხად ის უთქვამს, რომ მშვიდობიანობა მარტო მაშინ დამყარდება, როცა აგიტატორებსა და რევოლუციის მეთაურებს მოგვცემთ; უმეტესი ნაწილი ამ ჯურის კაცებისა თქვენი ნოქრებია, რომელთაც კარგად იცნობთ; დაასახელეთ ისინი და მაშინ ხელს აღარავინ გახლებთო,—უთქვამს გენერალ-გუბერნატორს და ლაპარაკი მოუსპია.

თუ მაღაზიებმა ძალა-უნებურად ვაჭრობა შესწყვიტეს, მოქალაქეთ ახლად მოვლენილი ვაჭრები გაუჩნდნენ. ნაქურდალი საქონელი ყველას თვალ-სახინოდ იყიდება ქალაქის ყველა კუთხეში. სიიაფე ნივთებისა არა ჩვეულებრივია. საკერავ მანქანას 2 ან 3 მანეთად იყიდით, ძვირფასი ლამპები მანეთად იყიდება და სხვა. არიან ისეთი ღვთისნიერი პირები, რომელნიც ნაქურდალის ია-

ფად ყიდულობენ და ამავე ფასად უბრუნებენ პატრონს. უმეტესი ნაწილი მყიდველებისა სარგებლობს შემთხვევით.

ცეცხლის გაჩენა ქუთაისში უკანასკნელად მოჰყვა კელამოვის დაჭრას. ნაშუადღევის ორს საათზე კელამოვს თავს დაეცნენ და ჯერ დაღამებული არ იყო, რომ ცეცხლი სამს ადგილას გაჩნდა. კელამოვის მორჩენის იმედი დიდი აქვთ. დაჭრილია ოთხ ალაგას, მაგრამ ყველა ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა. კელამოვის დაჭრა ასე მომხდარა—ნაშუადღევის ორ საათზე გუბერნიის სამართველოდან გამოსულა, ჩამჯდარა ეტლში და სასტუმრო „როსიასაკენ" წასულა. ეტლი რომ ლაღიძის მაღაზიისაკენ აპირებდა შეხვევას გავარდნილა რევოლვერი. ორი კაცი კელამოვს ეტლში ჩახტომია და ხუთჯერ თუ ექვსჯერ უსროლიათ. კელამოვს ყვირილი დაუწყია. მკვლელებს უსარგებლნიათ იმით, რომ მრავალი ხალხი იყო ახლო-მახლო შეკრებილი, გადამომხტარან და ხალხში მიმალულან. კელამოვის თანმხლები სტრაჟნიკი მოკლული აღმოჩნდა. რამდენისამე წუთის შემდეგ გაჩენილა ყაზახების პატრული, რომელსაც დაუნახავს, რომ ერთი ახალ გაზდა სისწრაფით მიდის სასტუმრო „როსიასაკენ." მაშინვე დაუჭერიათ და პოლიციაში წაუყვანიათ პატარა ხნის უკან იგივე ახალგაზდა, რომელიც რევაზიშვილი აღმოჩნდა, სატუსაღოში მიჰყავდათ ყაზახებს და გზაზე რაღაც მიზეზით მოუკლავთ, ამ ნაირადვე მოჰპყრობიან მეორე ტუსაღს შველიძეს, რომელიც ხიდზე მოეკლათ ყაზახებს.

დანარჩენი შემდეგ

—

ზესტაფონი. ამ სტრიქონებს ზესტაფონში ვწერ. ტფილისიდან რომ გამოვიარე, ღამე იყო და ზესტაფონის განადგურების სურათი ვერა ვნახე. დღეს საგანგებოდ მოველ აქ და ეს არის ეხლა დავბრუნდი რკინის გზის სადგურზე განადგურებულ ზესტაფონიდან.

ვისაც ზესტაფონი უნახავს, ის ადვილად მიხვდება იმ ზარალს, რომელიც ეწია ამ დაბას ამ სტრიქონებს თუ ბოლომდის ჩაიკითხავს. უდიდესი ნაწილი ზესტაფონის ბაზრისა, გაჭიმული იყო მდ. ყვირილის მარჯვენი ნაპირსა და მეორე მხარეს, მაღაზიები იწყებოდა ხიდის ყურიდან და თითქმის ორი ვერსის მანძილზე იყო გაჭიმული. წყლის გაღმა ოცდა ათამდე დუქანი იყო გამართული, ხოლო ლიანდაგის იქით, სასწორთან, სულ ახლად აშენებული ორმოცამდე დუქანი.

ჯარმა რომ პირველად თავი ამოჰყო დასავლეთ საქართველოში, ზესტაფონელები შიშს მიეცნენ და ზოგი სიფრთხილის გულისათვის გაიხიზნა. უფრო მშიშარა ვაჭრებმა საქონელიც კი გაალაგეს თავის მაღაზიებიდან.

5 იანვარს აქ ყოფილა გუბერნატორად ნამყოფი სტაროსელსკი, დაუთვალიერებია შენობა, სადაც ტენგინის პოლკის როტას იარაღი დაუყრია და შემდეგ უნახავს რამდენიმე კაცი და ურჩევია წაღებულ იარაღისა და ფულის დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, უთქვამს ბ-ნ სტაროსელსკის, შორაპნის მაზრას და კერძოთ ზესტაფონს დიდი განსაცდელი მოელისო. როგორც ამბობენ, თითქმის თანხმობა გამოუცხადებიათ ბ-ნ სტაროსელსკის წინადადებაზე, მხოლოდ ის უთქვამთ, რომ ჩვენ ამ საკითხის გადაწყვეტა არ შეგვიძლიან, სხვებსაც მოველაპარაკებით და მაშინ საბოლოოდ გადავწყვეტთო მაგ საქმესაო.

ვ. ა. სტაროსელსკის კიდევ ვაუფრთხილებია ზესტაფონელები, მაზრის უფროს ტატიშვილი მომავალ ჯარის შესახვედრად გამოუგზავნია და თითონ ქუთაისისაკენ წასულა დაიმედებული, რომ საქმე სასურველად გადასწყდებოდა.

ნ. ბ. ტატიშვილი შეხვედრია ჯარს 7 იანვარს მოლითის სადგურზე და ბევრის ცდის შემდეგ ჯარისათვის მოუმზადებიათ სამხედრო მატარებლის დაბარება შორაპნის სადგურიდან. შვიდსავე იანვარს დაბინავებულა ვაგონებში ორი ეშელონი ჯარისა. პირველ ეშელონს უფროსობდა პოდპოლკოვნიკი ჩიქავანი, ხოლო მეორეს—პოლკოვნიკი კრილოვი, რომელიც, გაიხსნა თუ არა გზა, პირდაპირ გურიაში წავიდა.

რაც მოახდინა ამ ორმა ეშელონმა ბ-ნს კლდეს კორესპონდენციაში იყო მოთხრობილი და ეხლა მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ, როგორც დანამდვილებით ვიცი, ერევნის პოლკს და მის ჯარის-კაცებს, რომელთაც დახურულ რკინის გზის გახსნა ჰქონდათ დავალებული, არა დაუწვავთ-რა და არც გაუნადგურებიათ. თუ მოხდა კაცის მოკვლა მოლითსა, ხარაგაულსა და აჯამეთში, ეს პლასტუნების საქმე იყო, რომელთაც ერევნის პოლკის ორი ბატალიონთან რიონამდე იმგზავრეს და, მერე ამ სადგურზე დარჩნენ ცნობილ კაპიტან კაპეიკინთან. ამ კაპიტნის ინიციატივით და ხელმძღვანელობით ბაღდადისაკენ გაითარეშეს და ცეცხლსა და მახვილს მისცეს მთელი დაბა. მესამე ეშელონს შეადგენდა ტფილისის პოლკი, რომელსაც უფროსობდა პოლკოვნიკი გავრილოვი. ამ ეშელონმა, როგორც მკითხველმა იცის, ორი ადგილი გადასწვა—ხარაგაული და ზესტაფონი. ხარაგაული ჯერ არ მინახავს და ეხლა მოგახსენებთ იმას, რაც ვნახე ზესტაფონში.

ზევითა ვთქვი, რომ უდიდესი ნაწილი ზესტაფონის დიდ ბაზრისა შოსესა და ყვირილის მარჯვენა ნაპირს იყო გაჭიმული ორი ვერსის მანძილზე. ამავე უბანში იყო კერძო შენობანი და დაწესებულებანი—სკოლა, თეატრი, ბანკი, ეკლესია და სხვა.

ეს ნაწილი დაბისა სრულებით აღარ არსებობს თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორს სახლს, იორდანე ცერცვაძისას და თედორე არდიშვილისას, რომელნიც, რაღაც განგებით, გადარჩენილან დაუმწვარი და ეკლესიას.

ზესტაფონის წვა დაიწყო ღამე 8 იანვარს და გაგრძელდა 9 და 10 იანვარს. სამის დღის განმავლობაში იწოდა დაბა და ცეცხლმა შთანთქა, თუ მეტი არა, ოთხი მეხუთედი მაინც დაბისა. როცა დიდი ბაზარი დაიწვა, ხიდით წყალ გაღმა გავიდნენ და 30 დუქანი ცეცხლს მისცეს; დანარჩენ დუქნებსაც არ დაინდობდნენ, რომ ცეცხლი მაზრის უფროსის სახლს არ მიახლოვებოდა და მდგმურის თხოვნით წვა და დაგვა არ შეეჩერებინათ. აქ რომ ვერ დაიკმაყოფილეს ჟინი, ისევ გაღმა გავიდნენ და სასწორის მახლობლად ახლად გაშენებულ მაღაზიებს მისცეს ცეცხლი და ესეც გადაბუგეს.

ამ ნაირად მთელი ბაზარი ზესტაფონისა, თითო ოროლა ხის დუქნის გარდა, მთლად დამწვარია. სურათი საზარელია. სიცოცხლით სავსე წინანდელი ბაზარი ზესტაფონისა, ეხლა გაოხრებულ ადგილს წარმოადგენს. აქა-იქა დამწვარ შენობებთან შეხვდებით ვაჭრებს თავის მაღაზიებთან, რომელნიც გულხელდაკრეფილნი დგანან და თავის გაოხრებულ ქონებას უყურებენ. არიან ისეთნიც, რომელნიც გადარჩენილ ნივთებს ეძებენ დამწვარ შენობაში, მაგრამ ამაოდ. მრავალი ხალხი დარჩა ულუკმა პუროთ. წინად მდიდარი და შეძლებული კაცი, ეხლა იმ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რომ არ იცის, რა ჰქნას—ხელი ვაიშვიროს მოწყალებისათვის, შური იძიოს, თუ ავაზაკობას მიჰყოს ხელი. ზარალი, რომელიც ზესტაფონს ეწია, დიდია, მაგრამ მისი განსაზღვრა მეტად ძნელია. ადგილობრივ მცხოვრებთ რომ დავეკითხე ამ საგნის შესახებ, ზოგი ზარალის რაოდენობას ანგარიშობს სამ მილიონ მანეთად, ზოგი ორად და ზოგი მილიონ ნახევრად. უკანასკნელი ციფრი რომ მივიღოთ ნამდვილ ზარალად, ისიც საკმაოა ისეთ ღარიბ ხალხისათვის, როგორც ჩვენა ვართ.

ახლო-მახლო სოფლები, ზესტაფონის გადაწვა რომ დაინახეს, განუსაზღვრელ შიშს მიეცნენ. ვისაც კი შეეძლო, მთებში იხიზნებოდა, თუ ძვირფასი რამ ებადათ, თან მიჰქონდათ და დანარჩენ ავლა-დიდებას უპატრონოდ სტოვებდნენ. აღგზნებული ცეცხლი თავის სტიქიურ ძლიერებით ცალკე მოქმედებდა და შიში, რომ საცაა სოფელშიაც გაჩნდებიან და აქაც ცეცხლით მოსპობენ ნაჭირნახულევს და ნაამაგდარსაო, გონებას უკარგავდა ხალხს. ხალხი დღესაც ვერ მოსულა გონს, ცხოვრება ჯერ კიდევ თავის კალაპოტში არ არის ჩამდგარი. შიში განადგურებისა ჯერ კიდევ დიდია და გახიზნულნი ჯერაც არ დაბრუნებიან თავის კერას და ყოველ წამს მზად არიან უფრო შორს წავიდნენ.

ამავე დროს მოთხოვნილება გენერალ ალიხანოვისა ხაზინიდან წაღებულ ფულის ზღვევისა მოსვენებას არ აძლევს სოფლის მკვიდრს. კარგად ხედავს, რომ ფულის გადაუხდელობა უარეს საქმეს დამართებს და ამავე დროს სახსარი ფულის შოვნისა არსადა სჩანს. გლეხი ფულს ან მუშაობით შოვობს ან თავის ნაწარმოების გაყიდვით—ეს უკანასკნელი გზაც შეკრული აქვს ზესტაფონის გადაწვით. ჩამოაქვს გლეხს პარასკევობას ღვინო, ქათამი, ყველი და რაც კი მოეძევება, გასასყიდად, მაგრამ ფასის შემძლევი არსად არის და თუ ვინმე დაემუშტრა, ისეთ ფასს აძლევს, რომ გაუყიდველობა სჯობია. ისეთი შემთხვევაც ხშირია, როცა გლეხი იძულებული ხდება უფასოდ დაუთმოს ის, რაც გასასყიდად ჩამოიტანა, რომ თავი ცოცხალი გადაირჩინოს. მიუხედავად ამისა ხალხი წელზე ფეხს იდგამს და იმ შიშით, ვაი თუ ზესტაფონის გადაბუგვა არ გვაკმარონ და სოფლად დაუწყონ სახლებს წვა და დაგვაო, შოულობს წვალებითა და ვაებით ფულს და შეაქვს ხაზინაში, სადაც დილიდან დაწყებული ნაშუადღევის სამ საათამდე მრავალი ხალხია შეკრებილი და ფული შეაქვს. კიდევ კარგი, თუ მოასწრო ფულის შეტანა, წავა და თავის სახლს მიეპატრონება, მაგრამ უბედურება ის არის, რომ 8 მანეთის შესატანად სამ-ოთხ დღეს სცდება და ძლივს ღებულობს კვიტანციას. დავიჯეროთ არავის არ მოსდის აზრად ის, რომ ვიდრე ფულს შემოიტანენ, გააძლიერონ მოსამსახურეთა რიცხვი, რომ შორიდან მოსული ხალხი დროზე გაანთავისუფლონ.

შორაპნელის უბედურება ამით არა თავდება—ფულის შეტანის გარდა, გენერალმა ალიხანოვმა დააკისრა გაქცეულ ჯარის კაცების წარმოდგენა, რევოლუციის მეთაურების დასახელება და შეპყრობა, იარაღის წარმოდგენა, ახალ-გაზდა ჯარის კაცების გამოყვანა და სხვა მრავალი ამ გვარი. რაც ხალხის ხელთ არის, იმას, რასაკვირველია, შეასრულებს, და ასრულებს კიდეც—იარაღი მოაქვს, ახალგაზდა ჯარიკაცები გამოიყვანა და წარუდგინა სამხედრო მთავრობას, მაგრამ რას იზამს სოფელი, როცა მოთხოვნილება მუქარით შეზავებული არსებობს, და მისი შესრულება მასზე არ არის დამოკიდებული. ზოგიერთი გაქცეული ჯარის კაცი არა ნდომობს წასვლას სამსახურში და თავის მოსარიდებლად მიიმალა ან გადაიხვეწა სადმე ისე რომ არავინ იცის, სად არის. რას იზამს სოფელი ამისთანა შემთხვევაში—პოვნით ვერსად პოულობს და მეორეს მხრით განადგურებისა და გადაწვის შიში მოსვენებას არ აძლევს და ძილს უფთხობს. ამ ნაირსავე მდგომარეობაშია ხალხი მოძრაობის მეთაურების დასახელებისა და შეპყრობისა და იარაღის წარმოდგენის შესახებ. უმეტესი ნაწილი იარაღისა წარმოდგენილია, მაგრამ არიან იმისთანები, რომელთაც შორაპნის მაზრასთან საერთო არა აქვთ-რა და მიუხედავად ამისა იარაღი მიითვისეს და გაშორდნენ შორაპნის არემარეს. სად მოსძებნის ხალხი ამნაირ კაცს, რომლის ბინადრობაც არავინ იცის? მოძრაობის მეთაურნი პროპაგანდის გამწევი ხალხი იყო; ესენი რიგ-რიგად მოდიოდნენ სოფელში, ქადაგობდნენ, საქმეს რომ გააკეთებდნენ, თავის გზით მიდიოდნენ ისე, რომ სოფელმა არც სახელი იცოდა მათი, არც გვარი და არც ბინადრობა. სად გამოსძებნოს ესენი ხალხმა?

ყველა ეს სოფლისათვის აუტანელ მდგომარეობას ჰქმნის და ისედაც გაჭირვებული და დაბეჩავებული გლეხი სასოწარკვეთილებას მიეცა და ნურავის გაუკვირდება, თუ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ისეთ საქმეს ჩაიდენს, რაც სხვა დროს მოულოდნელი იქნებოდა. ამას ზედ დაურთეთ ისიც, რომ ოჯახში მახინჯი ყოველთვის ურევია და ეს მახინჯები მიდიან იქ, სადა გასავალი აქვს დასმენას, და თავის მოძმეებს სამარეს უთხრიან.

სახლების ჩხრეკამ, ჯარების აქა-იქ სიარულმა ხომ ბოლო მოუღო შორაპნელებს. იარაღი, როგორც ზევითაც ვთქვით, მოაქვს ხალხს, მაგრამ ამას არა კმარობენ და იარაღისა თუ ასაფეთქებელ ნივთიერების აღმოჩენისთვის თითქმის ყოველ დღე დაიარებიან და სახლებსა სჩხრეკენ. სახლის გაჩხრეკა თავის თავად საშიშოს არაფერს წარმოადგენს, მეტადრე მაშინ, როცა დამალული არა გაქვს-რა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ იარაღის მოპოვების სახელიკი ქვიან ჩხრეკას და სარჩულად ძალ-მომრეობა, ქალების გაუპატიურება და სხვა ამ გვარი სისაძაგლე უდევს ამას წინად სოფ. თვრინში (ზესტაფონიდან ექვსი ვერსის მანძილზეა) ხმა გავარდა, რომ ჯარი მოდისო. ეს საკმაო იყო, რომ მთელი სოფელი აყრილიყო და ვისაც სად შეეძლო, გადახვეწილიყო. ამ ნაირივე საქმე ხდება სხვა სოფლებშიაც და რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ეს გარემოება მეტად ავიწროებს ხალხს.

დიდხანს გაგძელდება თუ არა ასეთი მდგომარეობა, კაცმა არ იცის, რადგან ნიშნები რეჟიმის გამოცვლისა ჯერ არსადა სჩანს...

სალი.

ახალი ამბავი

✦ **იარაღის აღმოჩენა.** როგორც სოფ. მეჯვრისხევიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში იქ ადგილობრივ ბოქაულის ქვევრებში აღმოუჩენია: ოცდა ათი ბერდანა, რევოლვერები, აუარებელი პატრონები, ბაირაღები და ლიტერატურა. მეორე დღეს გორიდან ამოვიდა და დაბანაკდა ერთი სოტნა ყაზახი და ერთი როტა სალდათი.

✦ **გაჩხრეკა.** ხუთშაბათს, 2 თებერვალს, თამამშევის ქარვასლის ქვეითა სართული გაჩხრიკა პოლიციამ და სამხედრო უწყებამ, მაგრამ ვერა აღმოაჩინეს რა.

✦ **თავდასხმა.** შორაპნიდან გვწერენ: შორაპნის მაზრის სოფ. საზანოში 31 იანვარს ღამე რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დასცემია შორაპნის მაზრის სამხედრო საკრებულოს წევრს იაგორ მდივანს. თავდამცემთ სახლისთვის სროლა უტეხნიათ, შემდეგ შესულან სახლში და მძიმედ დაუჭრიათ თვით იაგორ მდივანი, იმისი ძმა ალექსანდრე და ქალი კნეინა ამირეჯიბისა. სახლიდან არაფერი წაუღიათ და ამიტომ, აშკარაა, თავ დასხმისა და დაჭრის მიზეზი სხვა რამ უნდა იყოს. ხალხში ხმა დადის, რომ მდივანმა რევოლიუციონერები გასცაო. დაჭრილები ქუთაისში წაიყვანეს. საზანოსაკენ წასულან ყაზახები და ჯარი ზარბაზნებით.

ფელეტონი

საფრანგეთის ისტორიიდან

II

კონვენტი

საფრანგეთის ერმა თავისი საუკეთესო შვილები აირჩია კონვენტში და აუცილებელიც იყო ერის მთელ ძალ-ღონის გამოჩენა და მოხმარება, რადგან საფრანგეთს დიდი განსაცდელი ადგა კარებზე. კონვენტი პირველად შეიკრიბა პარიზში 1792 წლის 20 სექტემბერს, ე. ი. სწორედ იმ დღეს, როცა რესპუბლიკის ახალგაზდა მეომრებმა პირველად უკუაქციეს ვალმისთან ავსტრია-პრუსიის ჯარი.

კაცობრიობას არ უნახავს არც მანამდე და არც შემდეგ ისეთი დიდებული და საინტერესო პარლამენტი, როგორც კონვენტი იყო. საფრანგეთის შესანიშნავმა და სახელოვანმა შვილებმა აქ მოიყარეს თავი. დემოკრატიული რესპუბლიკა, თავისუფლება და თანასწორობა,—აი რა იყო მათი სატრფიალო და სათაყვანო და არაფერს არ ზოგავდნენ ამისთვის. ყველა საშუალება კარგი იყო კონვენტისათვის, ოღონდ თავისი გაეტანა—შემოსეული მტერი დაემარცხებინა და მოპოვებული თავისუფლება და თანასწორობა დაეცვა: საფრანგეთის მდგომარეობა იმ დროს ისეთი იყო, რომ არც შეიძლებოდა სხვანაირად მოქცეულიყო კონვენტი. აღფრთოვანებული და გატაცებული წარმომადგენელნი საფრანგეთის ერისა არაფერსა და არავის ზოგავდენ რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისათვის, მაგრამ ამასთან იმათ თავიანთი თავიც გადადებული ჰქონდათ: ყოველ წუთს მზად იყვნენ თავდადებისა და სიცოცხლის გაწირვისათვის. კონვენტი თავით ფეხამდე იარაღით იყო აღჭურვილი და სისხლს უხვად ღვრიდა; ან სხვანაირად როგორ მოქცეულიყო, როცა ყოველ მხრიდან იარაღით მოაშურეს ხალხის განთავისუფლების მტრებმა და მტარვალებმა! წინ ვერაფერი დაუდგა კონვენტის უმაგალითო აღფრთოვანებასა და სიმტკიცეს: ბოლო მოუღო აჯანყებულ რეაქციას, სიკვდილით დასაჯა მშიშარა და მოღალატე გენერლები, შეაიარაღა მთელი ხალხი და შიშის ზარი დასცა ევროპის გვირგვინოსნებს. და ასეთ საშინელ პირობებში კონვენტი კიდევ პოულობდა დროს საფრანგეთის შინაგან მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ახალ კონსტიტუციის შესამუშავებლად. რევოლიუციის საშინელმა ქარიშხალმა ბოლოს კონვენტიც იმსხვერპლა, მაგრამ ბუმბერაზების ამ კრებულის უმაგალითო მოქმედება და ღვაწლი წარუხოცელია კაცობრიობის ისტორიიდან. კონვენტის წევრებს იმ თავითვე შეგნებული ჰქონდათ თავიანთი მოვალეობა და ის დიდებული როლი, რომელიც მათ აკისრა ისტორიის ჩარხის ტრიალმა და ცალიერი სიტყვა არ ყოფილა კონვენტის პრეზიდენტის ნათქვამი—„კონვენტის ხელშია არა მარტო ერთის ხალხის, არამედ მთელ ეხლანდელ, კაცობრიობისა და მომავალ თაობათა ბედიცაო". საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ და მთავარ მის იარაღის—კონვენტის მოღვაწეობამ უღრმესი კვალი გაავლო კაცობრიობის ისტორიას.

სანამ კონვენტი ახალ კონსტიტუციას შეიმუშავებდა და ეს კონსტიტუცია მოქმედებას დაიწყებდა, აუცილებელი იყო დროებითი წესი, დროებითი მთავრობა, რომ ნორმალურ წესწყობილების დამყარებამდე საფრანგეთის საქმეებს გამძღოლი და პატრონი ჰყოლოდა. მაგრამ რადგან საფრანგეთი მეტად არა ჩვეულებრივ გარემოებათა შორის ცხოვრობდა ამ დროს, რადგან რესპუბლიკას თავგანწირული და შეუწყვეტელი ბრძოლა ჰქონდა გარეშე თუ შინაურ მტრებთან, ნორმალურ წესწყობილებაზე ოცნება ფუჭი იყო. სამ წელიწადზე მეტი, 1792 წლის 10 აგვისტოდან 1795 წ. 26 ოქტომბრამდე საფრანგეთის მართვა-გამგეობა რევოლიუციონური იყო და ამ დროინდელ მთავრობას რევოლიუციონურს უწოდებენ. სახელწოდება „რევოლიუციონური" აქ იმას კი არ ნიშნავს, რომ მთავრობა საგანგებო, არა-ჩვეულებრივ და უკიდურეს ღონისძიებებს ხმარობდა საფრანგეთისა და მოპოვებულ თავისუფლების დასაცველად! არა, ეს მთავრობა და მართვა-გამგეობა რევოლიუციონური იმიტომ იყო, რომ ეწინააღმდეგებოდა 1789 წლის „უფლებათა დეკლარაციის" მე-16-ე მუხლს, ე. ი. საკონსტიტუციო მართვა-გამგეობის მთავარ პრინციპს, რომლის ძალით საკანონმდებლო დაწესებულება და კანონების აღმასრულებელი ორგანო სასტიკად უნდა იყოს ერთი მეორისაგან გამოყოფილი. 1792 წლის 10 დეკემბერს, ლუი XVI-ეს გადაყენების შემდეგ, საკანონმდებლო კრებამ მართვა გამგეობის საქმეს მოჰკიდა ხელი და მინისტრები დანიშნა. კონვენტმა არა თუ განაგრძო ეს პოლიტიკა, კიდევ უფრო გააძლიერა და საკანონმდებლო კონვენტი შეიქნა კანონმდებელიც, კანონების აღმასრულებელიც და მოსამართლეც.

როგორც ნათქვამი იყო 1792 წლის 10 აგვისტოს საკანონმდებლო კრებამ ექვს წევრიანი სამინისტრო დანიშნა, სახელდობ უწოდა მას დროებითი აღმასრულებელ საბჭო და მართლაც აღმასრულებელი ორგანოს ყველა უფლებანი მიანიჭა. 1793 წლის აპრილამდე ეს აღმასრულებელი საბჭო განაგებდა საფრანგეთს. ამ წლის ექვს აპრილიდან დაწყებული, როცა კონვენტმა შექმნა თავის წრიდან ახალი ორგანო—განთქმული „კომიტეტი საზოგადოებრივ შველა-ხსნისაო", აღმასრულებელი საბჭო თანდათან ჰკარგავდა თავის მნიშვნელობას. ბოლოს სრულიად მოისპო და მისი ადგილი დაიკავა თორმეტმა კომისიამ (სამოქალაქო და სპოლიციო კომისია, განათლებისა, მიწათ-მოქმედებისა, ვაჭრობისა, იარაღისა და თოფის წამლისა, საზოგადო სამუშაოთა და სხვა), რომელიც სავსებით დაუმორჩილეს „საზოგადოებრივ შველა-ხსნის" კომიტეტს. ეს კომიტეტი შეიქნა ნამდვილი აღმასრულებელი ორგანო და უძლიერესი იარაღი კონვენტისა. ძალა სარევოლიუციო მთავრობისა ეს კომიტეტი იყო.

კონვენტი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, შეიკრიბა 20 სექტემბერს. ამოირჩიეს თავმჯდომარე და მდივნები და მაშინვე შეუდგნენ საქმეს. პირველად ყოვლისა დაადგინეს ახალ კონსტიტუციის შედგენა; შემუშავებული და კონვენტისაგან მიღებული პროექტი კონსტიტუციისა ძალაში მხოლოდ მაშინ უნდა შესულიყო, როცა მას ხალხიც მიიღებდა საყოველთაო და პირდაპირის კენჭის ყრით. ეს დადგენილება ერთხმად იქნა მიღებული და აქედან ცხადათ სჩანს, თუ რამდენად დემოკრატიულად განწყობილი იყო კონვენტი. არსებული კანონები და გადასახადები ისევ ძველ წესზე უნდა დარჩენილიყო, სანამ ახალ კანონებსა და წესს შეიმუშავებდნენ. 22 სექტემბერს დაკანონდა 10 აგვისტოს დიდი ფაქტი—ლუი XVI-ეს გადაყენება: საფრანგეთი რესპუბლიკად იქნა გამოცხადებული. კონვენტის ზოგ წევრს ამ საკითხის გადაწყვეტის გადადება სურდათ კონსტიტუციის შემუშავებამდე და მიღებამდე: მართლაც ფორმა სახელმწიფო წესწყობილებისა მთავარი მუხლია კონსტიტუციისა და როგორც ეგეთი, თანახმად კონვენტისავე დადგენილებისა, დაკანონებამდე ხალხს უნდა მიეღო. მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მძულვარება მეფობისადმი, ისე გაიტაცა კონვენტი მჭერმეტყველ ორატორების მხურვალე მოწოდებამ, რომ ხალხის დაუკითხავად იქვე დაადგინეს რესპუბლიკურ წესწყობილების შემოღება. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონვენტის წევრებზე პარიზის ეპისკოპოს გრეგუარის სიტყვამ. „მეფეების ისტორია ხალხთა წამების წიგნი არის"-ო, სთქვა, სხვათა შორის, ეპისკოპოსმა და მაშინვე შესწყდა კამათი: რესპუბლიკის შემოღება ერთხმად გადასწყდა.

მეორე დღეს (23 სექტემბერი) კონვენტის ერთის წევრის წინადადებით ახალი წელთ-აღრიცხვა შემოიღეს: 1792 წლის 22 სექტემბერი გამოცხადებულ იქნა „რესპუბლიკის პირველ წლად" და 14 ივლისის მაგიერ (ბასტილიის აღების დღე) 10 აგვისტო გამოაცხადეს ეროვნულ დღესასწაულად. საბოლოოდ ეს ახალი რესპუბლიკური კალენდარი დაკანონდა 1793 წლის 24 ოქტომბერს. წელიწადი 12 თვედ იყოფოდა, თვეში 30 დღე იყო; თვეებს ახალი სახელები დაარქვეს: შემოდგომის თვეები იყვნენ:—ვანდემიერი (ღვინობისთვე, 22 სექტემბრიდან 21 ოქტომბრამდე), ბრიუმერი (ღრუბლიანი თვე), ფრიმერი (პირველ სიცივის თვე), ზამთრის თვეები—ნივოზ (თოვლის თვე), პლუვიოზ (წვიმის თვე), ვანტოზ (ქარის თვე); გაზაფხულის თვეები—ჟერმინალ (კვირტის ან კოკრის თვე), ფლორეალ (ყვავილის თვე), პრერიალ (თივის თვე), ზაფხულის თვეები—მესსიდორ (მოსავლის თვე), თერმიდორ (სიცხის თვე), ფრუქტიდორ (ნაყოფის თვე). თვითეული თვე სამ დეკადად იყო გაყოფილი (ათ ათი დღე), ყოველი მეათე დღე უქმედ იყო მიჩნეული კვირის მაგიერ. ხუთი დღე (ნაკიან წელიწადში ექვსი), რომელიც აკლდებოდა წელიწადის შესრულებას, სანკიულოტიდებად [1] (17 სექტემბრიდან 21-ამდე) მონათლეს და საერო დღესასწაულებად აქციეს: პირველი სანკიულოტიდი გონების დღესასწაული იყო, მეორე შრომის, მესამე კეთილ საქმის, მეოთხე დაჯილდოვების, მეხუთე საზოგადოებრივ აზრის. ამ დღეს ყველაფრის თქმა და დაწერა შეიძლებოდა დაუსჯელად. ეს კალენდარი ძალაში იყო თორმეტი წელიწადი, სანამ ნაპოლეონ ბონაპარტე იმპერატორად გახდებოდა. 1805 წელს ახალმა იმპერატორმა ისევ საქრისტიანო კალენდარი შემოიღო, რომ განეახლებია პირდაპირ კავშირი ძველ წესწყობილებასთან და შერიგებოდა სასულიერო წოდებას, რომელიც

---

*) „სანკილოტ", სიტყვა-სიტყვით რომ ვთარგმნოთ, ნიშნავს „უპერანგის ამხანაგო"; ასე ეძახდნენ რესპუბლიკის მომხრე დემოკრატებს.

◆ **სასოფლო ხარჯები.** როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ამ სამი-ოთხი თვის წინად კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ მოსთხოვა გუბერნატორებს დაწვრილებითი ცნობები იმ გადასახადების შესახებ, რომელიც იკრიბება საზოგადოებათა ხარჯების დასაკმაყოფილებლად. ასეთი ცნობები თვითეულ მაზრას ცალკე უნდა წარედგინა. ტფილისის გუბერნიის მაზრის უფროსებმა უკვე წარადგინეს საჭირო ცნობები. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, ხარჯი ასე ყოფილა განაწილებული: სიღნაღის მაზრაში სოფლებზე ყოფილა გაწერილი: გზების გასაკეთებლად 2,260 მან., ხიდებისა—410 მ., სოფლის ქსენონების შესანახად—8,283 მ., სკოლების შესანახად—7,207 მ., სასოფლო-სამეურნეო თანხის შესადგენად—1,077 მ., სოფლის მოხელეთა შესანახი ხარჯი—1486 მ., სასულიერო წოდების პირების შესანახი—36263 მ., სასოფლო კანცელარიების და მოხელეთა შესანახი—23,002 მ., სოფლის დარაჯების შესანახი—8178 მ., გადასახადების ამკრებთა შესანახი—1,587 მ., წყალდიდობისაგან წყლის ნაპირების გასამაგრებელი—1,220 მ., ახალ ჯარის-კაცთა გასაწვევი ხარჯი—362 მ., და წვრილ სასოფლო ხარჯი—10798 მ., სულ 110,256 მ. თელავის მაზრაზე ამავე გადასახადებისა ყოფილა გაწერილი—62019 მ., თიონეთის მაზრაზე—62,663 მ., ტფილისის მაზრაზე—92,302 მ., გორის მაზრაზე—151,147 მ., დუშეთის მაზრაზე—91.298 მ., ბორჩალოს მაზრაზე—95,786 მ.. ახალციხის მაზრაზე—37,366 მ. და ახალქალაქის მაზრაზე—62,639 მ. ასეთი ცნობები მოსულია უმაღლეს მთავრობას ამიერ-კავკასიის ყველა გუბერნატორისაგან. როგორც ცნობებიდან სჩანს, ყველაზე მეტი ხარჯი გაწერილი ყოფილა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებზე.

◆ **თავ. პ. დოლგორუკოვის წერილი.** ტფილისის კონსტიტუციონალ-დემოკრატთა პარტიის თავმჯდომარემ გ. მ. თუმანოვმა მოსკოვის ცნობილ საერო მოღვაწის თავ. პ. დოლგორუკოვისაგან მიიღო წერილი, რომელშიაც იგი ურჩევს ეხლავე შეუდგეს ორგანიზაციის საქმეს ამ პარტიისას, დააარსოს სამაზრო კომიტეტები წევრების მოსაზიდათ, რომ არჩევნებისათვის სრულიად მზად იყვნენ, როგორც კი ახსნილ იქნება, სამხედრო წესები· ურჩევს, გლეხებს დაუგზავნოს პარტიის გამოცემული ბროშურა შემდეგი სათაურით: „გლეხებს კ. დ. პარტიისას.“ დოლგორუკოვი არწმუნებს, რომ გლეხები ამ ბროშურის წაკითხვის შემდეგ ასობით და ათასობით უერთდებიან პარტიასაო. აგრეთვე ურჩევს, აგიტაციის კარგად წაყვანის საქმისთვის მცირე თვიური გადასახადი გააწეროს გლეხებს.

◆ **საადრესო სტოლი.** პოლიცმეისტერმა გუბერნატორს მოხსენება წარუდგინა საადრესო სტოლის შესახებ. პოლიცმეისტერი სთხოვს ნამესტნიკს, ისეთი დადგენილება გამოსცეს, რომლის ძალითაც ამ დაწესებულებას საომარი წესების ახსნის შემდეგაც შეეძლოს მოქმედება.

◆ **ახალი გაზეთი.** ბაგრატ აიკაზიანმა ნებართვა მიიღო გამოსცეს ტფილისში ყოველ კვირეული სომხური გაზ. „ჰუის“—(იმედი).

◆ **განჯის გაჩხრეკა.** გაზ. „ჰარაჯ“-ს განჯიდან დეპეშით ატყობინებენ: 30 იანვარს მთელ ქალაქს ჯარი შემოარტყეს, მთელი დღე და ღამე ჩხრეკავდნენ ქალაქს. ჩხრეკაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე თათარი ბოქაულები. ერთი ზარბაზნის მეტი ვერაფერი იპოვეს, ისიც ბაღში ეგდო.

◆ **ზარბაზნების დაშენა.** სოფ. გორისიდან, გაზ. „მშაკ“-ს დეპეშით ატყობინებენ: „გენერალმა ვერემ ყუმბარები დაუშინა სომხის სოფლებს ტელს და ხნაწილს, რომლის მცხოვრებთაც უარი განაცხადეს იარაღის და საქონლის მიცემაზე; უპასუხეს, რომ არა გვაქვსო. განადგურებულია შენობები, ეკკლესია და სხვა“.

◆ **მაზრის უფროსების შესახებ** დუშეთის მაზრის უფროსი აწ, გადაყენებული ფონ-ბოუმ-გარტენი დაინიშნა ახალციხის მომრიგებელ შუამავლად. სიღნაღისა—იგნაციუსი გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდან და მის ალაგას დაინიშნა ტვერის დრაგუნთა პოლკის კორნეტი მამაცაშვილი, ხოლო თელავის მაზრის უფროსი ზისერმანი სრულებით გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდან. იმის ადგილას არავინ არ დაუნიშნავთ ჯერ.

◆ **ახალი გაზეთი.** ნაფიც ვექილის თანაშემწემ გრიგოლ მახარაძემ შუამდგომლობა აღძრა ქართულ ყოველდღიურ გაზეთის გამოცემის შესახებ ქ. ტფილისში. გაზეთს სახელად „ელვა“ ერქმევა.

◆ **მკვლელობა.** მიხეილის პროსპექტზე სახლის (№ 47) ძირის სართულში იპოვეს უსულდგმულო მუცელ გაჭრილი გვამი მცხეთის ბოქაულად ნამყოფის თავ. თუმანიშვილის მეუღლის მარიამნასი. მკვლელის გზა-კვალს ვერ მიაგნეს.

◆ **ობერ-კონდუქტორის მოკვლა.** როგორც სადგურ განჯიდან გვატყობინებენ, 2 თებერვალს საღამოს 6 საათზე ორი ტყვიით მოუკლავთ უფროსი კონდუქტორი ვასილ დემინი. მკვლელი მიმალულა.

◆ **სწავლის დაწყება.** გუშინ დაიწყო სწავლა სათავად-აზნაურო გიმნაზიის მერვე კლასში. სხვა კლასებში 13 თებერვალს დაიწყება.

◆ **სხდომა.** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი მოწოდება სხდომისა:

„ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი (თავმჯდომარე ქალაქში არაა) სთხოვს გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთ, სახელდობრ: დ. დ. ყიფიანს, გ. მ. ლასხიშვილს, რ. ა. იონნესიანს, პ. რ. სურგულაძეს, ფ. გ. გოგიჩაიშვილს, მ. ა. ჯავახს, ა. ს. დუღაძეს, ა. ი. ხატისოვს, გ. ნ. ჩერქეზიშვილს, გ. ა. ლიმარევს და გ. გ. ნაგურსკის მობრძანდნენ გამგეობის სხდომაზე კვირას, 5 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, „ცნ. ფ.“-ის რედაქციის სადგომში; გადასაწყვეტია საზოგადო კრების მოწვევის საქმე და ხსენებულ საზოგადოების მომავალი. რადგან წევრების ადრესები არ ვიცი, სათაოდ მოწოდება არავის გაეგზავნება. ვთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს მოწოდება. ს. მიხაილოვი“.

◆ ამას წინად ახალციხის მაზრის ადიგენის სოფლის საზოგადოებას ამოურჩევია არა კეთილსაიმედო პირები, შეუდგენია განაჩენი და გადაუცია ადმინისტრაციისთვის შორეულ ქვეყნებში გასაგზავნად. საგუბერნიო მთავრობას ამათში ზოგი უდანაშაულოდ უცვნია.

◆ გუშინ ტფ. მაჭმადიანმა ყასბებმა სთხოვნეს ქალაქის მოურავს ცალკე ადგილი დაუნიშნოს საქონლის დასაკლავად.

◆ როგორც ქალაქ ნახიჩევანიდან გვატყობინებენ, 31 იანვარს მე-141 ვერსტზე 12-მდე შეიარაღებული კაცი დასცემია დანილოვის მოიჯარადრეს და წაურთმევია 1090 მანეთი, 3 ფუთი თოფის წამალი და სხვა ნივთები. თავდამცემის დროს ბორნის-მომქმედებს რევოლვერებით დაუჭრიათ მუშები ეფიმოვი და სამოილოვი.

◆ სადგურ ახტალაში სადგურის ერთ მოსამსახურეს 1 თებერვალს განგაში აუტეხნია და ჯარი გამოუწვევია. როგორც გვატყობინებენ, ატეხილა სროლა ჯარსა და ვიღაც უცნობებს შორის. ჯარს რამდენჯერმე დაუცლია თოფი, მაგრამ არავინ დაშავებულა. ორი დაუჭერიათ დარაჯის ყანჩელის ბინა გაუჩხრეკიათ და უნახავთ დინამიტის 12 პატრონი.

◆ „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ ბიბლიოთეკების გამგემ აცნობა საზოგადოების გამგეობას, რომ თუ საზოგადოებამ მუდმივი შემწეობა არ აღმოუჩინა, უსახსრობის გამო ვერის მეორე სახალხო სამკითხველოს ისეთივე ბედი მოელის, როგორიც პირველ სამკითხველოს ეწვიაო.

◆ ავჭალის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა რევოლვერით მძიმედ დასჭრა შინ მიმავალი სტეფანე ივ. ყარაჯაევი; ყარაჯაევი რამდენისამე წამის შემდეგ გარდაიცვალა. მკვლელი მიიმალა.

◆ 30 იანვარს სადგურ ავჭალაში მატარებლიდან გადმოვარდნილა კონდუქტორი ყანჩაველი, რომელსაც მატარებელმა გადაუარა და წასწყვიტა ხელისა და ფეხის თითები. დაშავებული რკინის გზის სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ სოფ. საგურამოდან გვატყობინებენ, რომ იქ დაუპატიმრებიათ ადგილობრივი მამასახლისი ბ-ნი ინაშვილი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 2 თებერვალი. დაატუსაღეს მიხელ ჩიკვაიძე.

ღამე ისევ გაუჩნდა ცეცხლი შენობას შუაგულ ქალაქში.

ქუთაისი, 3 თებერვალი. სამხედრო სასამართლომ გაამართლა მესხიშვილი, კაზელაძე და [illegible], რომელთაც აბრალებდნენ ივანოვისა და შერვაშიძის მოკვლას.

ქუთაისის ამბები

◆ ქუთაისში სხვა და სხვა კუთხიდან უფრო დღე დღე ძალი პოლიტიკური ტუსაღი ჩამოჰყავთ.

◆ რაჭაში წავიდა დიდ-ძალი ჯარი: ორი ბატალიონი ტფილისის პოლკისა და ოთხასი ყაზახი. ჯარი ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის თავ. დადეშქელიანი განკარგულებაშია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სისხლი ტყუილ-უბრალოდ არ დაიღვრება, მით უმეტესად, როგორც ქალაქში ხმა დადის, თავადი დადეშქელიანი იმ პირობით მისულა რაჭა-ლეჩხუმში, რომ ჯარი სრულ ჩემს განკარგულებაში იყოს და უჩემოთ არაფერი ჩაიდინოსო.

◆ გამოძიება ქუთაისის გუბერნატორად ნამყოფის ვ. ა. სტაროსელსკის მოქმედების შესახებ მსწრაფლ წარმოებს. როგორც ამბობენ, ჩვენება ჩამოურთმევიათ ყველა მომრიგებელ მოსამართლისათვის და უმეტესი [illegible] [illegible] უთქვიათ. გამოძიება [illegible] ცოტა ხანში გათავდება და ბ-ნი მიცკევიჩი ქალაქში დაბრუნდება.

◆ ამას წინად ჩვენმა გაზეთმა აღნიშნა ის გარემოება, რომ ქუთაისის პროკურორი ნ. ა. ტონბიგი ნეჟინში გადაჰყავთ. ეხლა ჩვენ გვატყობინებენ, რომ ქუთაისის პროკურორის ამხანაგები ვარგილესოვი, მილუტინი და მალინოვსკი რუსეთში გადადიან. პროკურორის ერთი ამხანაგთაგანი, სახელდობრ, ხორსონი, სამსახურიდან დაუთხოვნიათ.

◆ 30 იანვარს, საღამოს რვა საათზე, დაპატიმრეს პოლიცმეისტრის თანაშემწე ბ-ნი დავითაია. 5 საათზე დავითაიას სადგომი გაუჩხრეკიათ, რადგან საჩივარი შესულა, ნაძარცვ ნივთების ნაწილს დავითაია ჰფარავსო. აღმოჩნდა, რომ დავითაიას სახლში ყოფილა ორი თუ სამი ნაცნობ ოჯახის ნივთები, ცეცხლისაგან დასაცავად უნახავთ ორი რევოლვერი.

◆ დღეს, 31 იანვარს, მოიყვანეს ბოქაულის ქობულიანის მკვლელის გამო დაპატიმრებული ხაჯუპურიძე. ხაჯუპურიძეს კონდახით თავი აქვს გატეხილი. გუშინ დაუჭერიათ ბათუმიდგან წამოსული გზაში. 17-18 წლისა იქნება.

თეატრი და მუსიკა

ქართული წარმოდგენა. („ახალი მოძღვრება“, დრამა 1 თებერვალი). თითქმის ორი ათასი წლის წინად დიდებულს რომში მრისხანე ომი მძვინვარებდა. ძლევა-მოსილნი, გაბატონებულნი რომაელნი ულმობელის სისასტიკით ებრძოდნენ მტერს, რომელიც ვერ იქნა—ვერ გასტეხეს, ვერ დაიმორჩილეს. ვინ იყო ეს მტერი? ვინ გათავხედდა და ვინ გაბედა რომაელების სატახტო ქალაქში შეჭრა, იმ რომაელებისა, რომელთა წინაშე მთელი ქვეყანა ძრწოდა და მუხლს იდრეკდა?—ეს არ იყო ლაშქარი ამხედრებულის მტრისა, არ იყო იარაღ ასხმული მხედრობა მრისხანე მოპირდაპირისა. ეს იყო ახალი მოძღვრება—ქრისტიანობა. ძლიერს რომს მტრის იარაღ-ასხმული ლაშქარი წარბსაც ვერ შეახრევინებდა, ასეთი მტერი რომის ლომგულ მოქალაქეებისთვის სადღესასწაულო გასართობი იყო და არა სახიფათო განსაცდელი. როგორც ფოლადი ცეცხლში, ისე გამოიწრთო რომი ბრძოლის ველზე, და ეხლა იმას ომი უზენაეს ლხინად-ღა მიაჩნია. რომი ამაყია თავის მძლეთა მძლე ძლიერებით, რომმა იცის, რომ ვერავითარი მოპირდაპირე ვერ დასძლავს და მუდამ-დღიურს განცხრომაში იმყოფება.

მაგრამ აი, რომის მცხოვრებთა ერის წრეში დაიბადა ახალი აზრი და გემოვნება, ახალი მისწრაფება და იდეალი, ახალი მოძღვრება და ღმერთი. რომაელები ჰხედავენ, რომ ეს ახალი მოძღვრება სულ ერთიან უარჰყოფს ყოველივეს, რისთვისაც კი იბრძოდა და ჰღვრიდა სისხლს მთელი წყება მათის წინაპრებისა: სიამოვნებას, ბედნიერებას, სიმდიდრეს, ბატონობას და თვით ღმერთებსაც-კი. ქრისტიანები ზურგს უქცევენ საამქვეყნო სიტკბოებას, არ ეტრფიან სიმდიდრეს, ქადაგობენ მორჩილებას და ერთარსის ღმერთის სახელით თხოულობენ ადამიანთაგან მხოლოდ საკაცობრიო სიყვარულს. ძველი რომი ჰგრძნობს, რომ რაღაც ახალი ძალა, უცნაური და ხელთუქმნელი ძალა სთხრის იმის ძველის ძლიერების საძირკველს, ჰგრძნობს ამას და ულმობელს ბრძოლას უცხადებს ახალს მოძღვრებას.

მახვილის ძლიერებით გაბრუებულს რომს ძხოლოდ მახვილი მიაჩნია ბრძოლის საშუალებად და მახვილით სცდილობს იგი მოჰკვეთოს ახალი მოძღვრება ქრისტიანებს სცემენ, აწამებენ, ცეცხლს უკიდებენ, გააფთრებულ ლომების და ვეფხვების ლუკმად აქცევენ, მაგრამ ფიზიკური ძალა ზნეობრივს ვერ იმორჩილებს. ახალი მოძღვრების მიმდევარნი უშიშრად ჰხვდებიან სიკვდილს, სულგრძელად იტანენ რომაელთა ბარბაროსობას და სწამთ, შეურყევლად სწამთ, რომ ახალი ძალა გაიმარჯვებს და დაამხობს ძველს ძალას.

ისტორიის ჩარხი ტრიალებს, გარეგნობა იცვლება, მაგრამ შინაარსი-კი ივივეა, რაც წინად იყო. ოცმა საუკუნე გაიარა მას შემდეგ, რაც რომში ძველი და ახალი მოძღვრება დაეჯახა ერთმანეთს... მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ისტორია ისევ ძველისა და ახალის მოძღვრების ბრძოლას წარმოადგენს, ძველი მოძღვრების დამცველნი ისევ მახვილით და ცეცხლით სდევნიან ახალს მიმართულებას, ისევ ანთებენ კოცონებს ახალ მოძღვრების მიმდევართაგან, მაგრამ ძველს ფიზიკურს ძალას მაინც ისე არც ერთის შეიარაღებულის ლაშქარისა არ ეშინიან, როგორც უიარაღო ახალის აზრისა.

რომში ახალმა მოძღვრებამ გაიმარჯვა, ზნეობრივმა ძალამ ფიზიკური დაიმორჩილა—და ჩვენს დროსაც ახალს მოძღვრებასაც სწამს, არა მარტო სწამს, იცის კიდეც, რომ ბოლოს და ბოლოს იგი გაიმარჯვებს და დაიმორჩილებს თავის მოპირდაპირეს, ძველს მოძღვრებას.

მეცნიერი იურისტესი სამოქალაქო უფლებას „რომის თანამედროვე უფლებას“ უწოდებენ; ჩვენ შეგვიძლიან პიესას „ახალი აღთქმა“ ვუწოდოთ „რომის თანამედროვე დრამა“. დიახ, ოცის საუკუნის წინ ძველს რომში ისეთივე ბრძოლა სწარმოებდა, როგორიც დღეს ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში სწარმოებს, მხოლოდ ეხლა ახალის

აღშფოთებული იყო სარევოლიუციო კალენდრით. კონვენტის განზრახვა-კი იყო ყოველი კავშირი გაეწყვიტა ძველ წესწყობილებასთან და მოესპო სასულიერო წოდების ბნელი გავლენა საფრანგეთის ერზე. ახალი სარევოლიუციო კალენდარი ერთი საშუალებათაგანი იყო ამ მიზნის მისაღწევად.

მაგრამ პირველად ყოვლისა კონვენტის მთავარი საქმე გარეშე მტრებთან ბრძოლა იყო და შესანიშნავის ენერგიითაც უძღვებოდა სამხედრო მოქმედებას, მიუხედავათ ათას გაჭირვებასა და შინაურ ღალატისა.

რაკი ვალმის ბრძოლის შემდეგ ბრაუნშვეიგის ჰერცოგი უკან წავიდა, რესპუბლიკის გენერალმა დიუმურიემ ბელგიისაკენ გაილაშქრა. აქ ქ. მონსთან ძლიერ გამაგრებულ პოზიციაზე მას უცდიდა საქსენ-ტეშენის პრინცი ალბერტი, რომელიც ავსტრიის ჯარებს სარდლობდა. პრინცი ალბერტი, დიუმურიეს გამოლაშქრებამდე ბელგიისაკენ, ქალაქ ლილთან იდგა და ექვსის დღის განმავლობაში შეუბრალებლად ესროდა ზარბაზნებს. პრინცის ცოლი მარია ქრისტინა ავსტრიიდან ქმრის ბანაკში იყო მოსული, რომ საკუთარის თვალით დაენახა სასტიკი დასჯა მეფის მოწინააღმდეგე ქალაქისა, მაგრამ მოლოდინი არ აუსრულდა; ქალაქი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა შეუბრალებელ მტერს და არ ნებდებოდა. პრინცმა რომ დიუმურიეს ჯარის მოძრაობა შეიტყო, იძულებული გახდა ლილი მიეტოვებინა და სიმაგრეებისთვის მიემართნა. დიუმურიეც მოვიდა თავის ჯარით და 1792 წ. 2 ნოემბერს მოხდა დიდი ბრძოლა, რომელსაც ჟემაპის ბრძოლას ეძახიან. რესპუბლიკის ჯარის სიმამაცე და თავდადება კანაცვიფრებელი იყო. ახალ გაზრდა მეომრები წარბ შეუხრელად მიდიოდნენ იერიშით მტრის სიმაგრეებზე, საიდანაც სეტყვასავით მოდიოდა ტყვია და ყუმბარა. ორჯელ უკუ აქციეს ავსტრიელებმა რესპუბლიკის მეომრები, მაგრამ მამულისა და თავისუფლების სიყვარულით აღგზნებულ რესპუბლიკელების სიმტკიცე და ვაჟკაცობა ვერაფერმა ვერ შეარყია. რევოლიუციის ჯარში იყო შარტრის ჰერცოგი, ორლეანელ ჰერცოგის შვილი, შემდეგ რომ ლუი ფილიპეს სახელით საფრანგეთის მეფე გახდა (1830—1848). ახალგაზდა ჰერცოგმა ჯარის მარცხენა ფრთეზე თავი მოუყარა უკუქცეულ მეომრებს და საშინელი იერიში მიიტანა ხიშტებით მტერზე—წინ ვერავინ დაუდგა თავდადებულ მებრძოლებს. გენერალი დამპიერი მტრის შუა ნაწილს დაეტაკა: ხელში დროშა ეჭირა და ისე მიუძღოდა თავის რაზმს; მიუხედავათ საშინელ სროლისა, რაზმი მტრის სანგრებთან მივიდა და იქაურობა სულ მიწ-მოლეწა; გენერალი პირველი ავიდა ავსტრიელების სიმაგრეზე და რესპუბლიკის სამფეროვანი დროშა ააფრიალა. თვითონ დიუმურიე ჯარის მარჯვენა ფრთას ხელმძღვანელობდა: ორჯელ უკუქცეული რაზმი ისევ საიერიშოდ დააწყო, რაზმთან ერთად სარევოლიუციო მარსელიეზა დასძახა და მტრისაკენ გაჰქანდა. თავგანწირულად იბრძოდნენ ავსტრიელებიც, მაგრამ რესპუბლიკელები ვერაფერმა ვერ შეაჩერა: პრინც ალბერტის ჯარი სასტიკად დამარცხდა. ბევრის მნახველი და ბევრ ომში ნაცადი ავსტრიელი ჯარის კაცები შეშინებულნი ამბობდნენ თურმე—ასე გახელებული მტერი ჩვენს დღეში არ გვინახავსო. ავსტრიის ჯარის უფროსი პრინცი ალბერტი, სიძე ავსტრიის განთქმულ დედოფლის მარიამ-ტერეზიასი, შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს—რესპუბლიკის გენერალმა როგორ დამამარცხაო—და თავის თანამდებობიდან გადადგა.

დიუმურიეს ხელში იყო ეხლა მთელი ბელგია და თავისუფლად შევიდა ბელგიის სატახტო ქალაქ ბრიუსელში. კონვეტი, რასაკვირველია, მეტად გახარებული იყო ჟემაპის გამარჯვების გამო და გადასწყვიტა ბელგიაში დემოკრატიულ წესების შემოღება: მოსპო იქ არსებული ფეოდალური წესწყობილება და თავად-აზნაურობის უპირატესობანი, მთავრობა და სასულიერო წოდების ადგილ-მამული ეროვნულ საკუთრებად გამოაცხადა და თავისუფლება და თანასწორობა დააკანონა. სამწუხაროდ, ბელგიის ხალხი სრულიად ვერ მიხვდა კონვენტის განზრახვას: იგი საკსებით დამონებული იყო სასულიერო წოდების მიერ, ამ წოდების ინტერესი თავის საკუთარ ინტერესად მიაჩნდა და კონვენტის მოქმედებას მტრულად დახვდა. მაგრამ დიუმურიე დიდი დიპლომატი და ხერხიანი კაცი იყო და ცოტად თუ ბევრად მოახერხა ბელგიელებთან შერიგება.

ნაკლები ნიჭი და მოხერხება გამოიჩინა რესპუბლიკის მეორე გენერალმა სახელად კიუსტინმა, რომელიც რეინის ჯარს უფროსობდა. კიუსტინს მტერი არ უდგა წინ, მაგრამ გენერალმა იცოდა, რომ რეინის ნაპირის მცხოვრებნი საფრანგეთის რევოლიუციას თანაუგრძნობდა, და გადასწყვიტა ქალაქ მაინცისაკენ გალაშქრება. გზაზე კიუსტინმა ადვილად დაამარცხა ავსტრიის ჯარის ერთი ნაწილი. რეინის მარცხენა ნაპირზე მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში იყვნენ არსებულ წესწყობილების წყალობით: აქ რამდენიმე სასულიერო და საერო მთავარი იყო და ხალხის ექსპლოატაციას საზღვარი არ ჰქონდა; განსაკუთრებით გაჭირვებულ მდგომარეობაში გლეხები იყვნენ, რომელთაც ათასი ბეგარა, გადასახადი და სამსახური ემართათ თავიანთ ბატონებისა. კაჩნდნენ თუ არა აქ რესპუბლიკის ჯარის პირველი რაზმები, არსებული წესწყობილება სიზმარივით გაჰქრა: ბატონები თავქუდ-მოგლეჯილი გაიქცნენ რესპუბლიკელების შიშით და ხალხიც თავისუფალი შეიქნა. გენერალი კიუსტინი ქ. მაინცს მიუახლოვდა. მაინცი და ახლო მიდამოები ერთ სამთავროს შეადგენდნენ. ეს სამთავრო შესაბრალისს მდგომარეობაში იმყოფებოდა: ჯარი გათახსირებული იყო, სამთავროს შემოსავალი მთავრის დამქაშებსა და საყვარლებს უნდებოდა, ქალაქელი ვაჭრები სასახლის მფლანგაობით ცხოვრობდნენ და ამიტომ მთავრის მომხრენი იყვნენ; სამაგიეროთ, ტყავ-გამძვრალი ხალხი ფრანგების ბედს შეჰნატროდა და, რასაკვირველია, რესპუბლიკის ჯარს არავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევდა. გენერალ კიუსტინის მოახლოება რომ შეიტყეს მაინცში, მთავარი და მისი დამქაშები ქალაქიდან გაიპარნენ და თან წაიღეს, რაც რამ ხელში იგდეს თავისი თუ სხვისი; მთავარს სხვა წარჩინებულებიც გაჰყვნენ. მთავრის მინისტრმა ალბინიმ „მამულიშვილურ“ სიტყვით მიჰმართა მაინცელებს: უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ სამშობლოს დასაცველადო, მაგრამ ამას რომ ამბობდა, სწორედ ამ დროს გაატარეს მინისტრის ქონებით დატვირთული ურმები რეინის მარჯვენა ნაპირზე გადასატანად. მაინც კარგი სიმაგრე იყო, ჯარიც საკმაო ჰყავდა, ზარბაზნები და სურსათიც ბევრი ჰქონდათ და დიდ და ხანგრძლივ წინააღმდეგობის გაწევაც შეეძლო მტრისათვის, მაგრამ ავსტრიელი გენერალი ფონ-გიმნაცი იმდენად მხდალი იყო, რომ, კიუსტინის პირველ მუქარისათანავე—ქალაქს ყუმბარებს დავუშენო, გადასცა მაინცი რესპუბლიკის ჯარს. მაშინვე დაარსდა ქალაქში დემოკრატების კლუბი, რომელსაც სახელად „თავისუფლებისა და თანასწორობის მეგობარი“ ერქვა; ყველა თანამდებობა დემოკრატების ხელში გადავიდა—ძველი წესწყობილება აქაც გაჰქრა რესპუბლიკის ჯარის გაჩენისათანავე. სამწუხაროთ, კიუსტინი ვერ იყო გარემოების შესაფერი პიროვნება და ამიტომ მის გამარჯვებას ვერ მოჰყვა სასურველი შედეგი. კიუსტინის ხელქვეითი გენერალი ფრანკფურტთან *) მივიდა ჯარით. ფრანკფურტელი მოქალაქენი ერთობ შეშინდნენ და უმტკიცებდნენ გენერალს, რომ მუდამ ფრანგების მეგობრები იყვნენ. კიუსტინმა ერთი მილიონი ფული მოსთხოვა ფრანკფურტელებს, ამათ ნახევარი მილიონი შეაძლიეს, კიუსტინი მტკიცედ იდგა ერთ მილიონზე და ამით ფრანკფურტელებთან სრულიად გაიფუჭა საქმე; გერმანიის სხვა ნაწილებშიაც დიდი აღიაქოთი ასტეხეს ფრანგების ასეთ ქცევის გამო. ერთის სიტყვით, კიუსტინმა ვერ მოახერხა თანაგრძნობა მოეპოვებინა გერმანელებ შორის საფრანგეთისა და რევოლიუციისათვის. სამხედრო ასპარეზზედაც ნაკლები ნიჭი გამოიჩინა კიუსტინმა: ფრანკფურტში პატარა რაზმი ჰყავდა და, როცა პრუსიელები დაეცნენ ამ რაზმს, გენერალმა დახმარება ვერ აღმოუჩინა, თუმცა ახლოს იდგა თავის ჯარით. პრუსიელებმა აიღეს ფრანკფურტი (1792, წ. 12 დეკემბერს) და კიუსტინი იძულებული გახდა ისევ მაინცს დაბრუნებოდა.

ამავე დროს რესპუბლიკის მესამე გენერალი მონტესქიუ სამხრეთ-აღმოსავლეთით იბრძოდა: სარდინიის მეფეს ნიცა და სავოია წაართვა და საფრანგეთის რესპუბლიკას შემოუერთა.

როგორც ვხედავთ, ომის ველზე ახლად დაარსებული რესპუბლიკა ძალიან ბედნიერი იყო: ჟემაპის ბრძოლით თავი ისახელეს რესპუბლიკის მეომრებმა, მტერს შიში აგრძნობინეს და მთელი ბელგია საფრანგეთს შემოუერთეს. რეინზე, მართალია, კიუსტინი სასურველად ვერ მოიქცა, მაგრამ მაინც ის სამთავრო ხომ რესპუბლიკის ხელში იყო; სამხრეთით სარდინიის მეფე დამარცხეს და სავოია და ნიცცა შემოუერთეს. საფრანგეთის ტერიტორიაზე მტერი აღარ იყო, მაგრამ რესპუბლიკას დიდი და საშინელი ომები მოელოდა კიდევ. ევროპის გვირგვინოსნები არ ისვენებდნენ, გადაწყვეტილი ჰქონდათ ძირს დაემხოთ თავისუფალი საფრანგეთი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კონვენტმა გაასამართლა და გილიოტინაზე თავი მოჰკვეთა ძველ საფრანგეთის უკანასკნელ მეფეს ლუი XVI-ეს.

---

*) ფრანკფურტი თავისუფალი ქალაქი იყო და ცალკე სახელმწიფოს წარმოადგენდა.

აღთქმის მიმდევარნი ერთარსის ღმერთის სადიდებლად-კი სწირავენ თავიანთ თავს მსხვერპლად, საიმქვეყნო ნეტარებისკენ-კი არ მიისწრაფიან, არამედ აქვე, ამ ქვეყნადვე ჰსურთ განახორციელონ საკაცობრიო სიყვარული კაცობრიობის სასიკეთოდ.

ხუთშაბათს მაყურებლის გულისყური ქართულს სცენაზე უნებურად გადაჰქონდა რომიდან ჩვენს აწინდელს ცხოვრებაზე და ამიტომ თეატრის დარბაზი გატაცებით ადევნებდა თვალს რომაელების და ქრისტიანების ბრძოლას. ხუთშაბათს ქართული სცენა ნამდვილი გამომხატველი იყო ქართველ საზოგადოების სულის კვეთებისა. ქრისტიანებთან ერთად იტანჯებოდა თეატრის დარბაზი და იმათთან ერთად სძულდა მას რომის ძველი რეჟიმი, რომლის სრულს განხორციელებასაც კვისარი ნერონი წარმოადგენდა.

პიესა საერთოდ მწყობრად და რიგიანად ითამაშეს. განსაკუთრებით კარგი იყო ბ-ნი გუნია (ნერონი), რომელმაც ხელოვნურად დაგვიხატა სისასტიკის სიტკბოება: ნერონი, როგორც ნამდვილი რომაელი, ყველგან სიამოვნებას და სიტკბოებას დაეძებს, მაგრამ იმისი ზნეობრივი ბუნება ისე გაცვეთილია, ისე დაფუყულია ადამიანურ გრძნობებისაგან, რომ ზნეობის შემზარავი სისასტიკეც-კი იმისთვის მხოლოდ საოცნებო და ამიტომ საამური სანახაობაა. საუცხოვო იყო ბ-ნი მესხიშვილიც (მარკი), განსაკუთრებით, როცა, ქრისტიან ქალის სიყვარულით მოხიბლული სცდილობდა იგი შეეგნო ეს ახალი მოძღვრება, გამსჭვალულიყო იმავ საწმუნოებრივის გრძნობით, რომელიც მერციას ამშვენებდა. ქ-ნს ლეჟავას (მერციას) სრულებით არ ეტყობოდა ის სულიერი ძლიერება, რომლითაც მერცია დიდებულს რომის პრეფექტს მარკს იმორჩილებს. ქ-ნი ლეჟავა უფრო უძლურებას განახორციელებდა, ვიდრე თავგანწირულებას. ქ-ნი მდივანი მოხდენილად ასრულებდა თავის როლს, მხოლოდ გადამეტებულად ხშირი თავის რხევა ცოტა აუშნოვებდა ამის თამაშს. როგორც ყოველთვის, ქ-ნს კარგარეთელს ხუთშაბათსაც ვერაფერს ჰმატებდა უადგილოდ და უაზროდ ხელების ქნევა და ტანის რხევა: ქ-ნმა კარგარეთელმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს, რომ გრძნობა დრამატიულმა არტისტმა ყოვლის უწინარეს ხმით უნდა გამოხატოს და არა მკლავების ქნევით. ბ-ნმა შათირიშვილმა მაღალ გარყვნილების მორევში დამცურავ რომაელის ნაცვლად, რუსის „ბოსიაკი“ გვაჩვენა. ეს არც სიმართლეა და არც სასარგებლოა პიესისთვის, თუმცა სიცილ-ხარხარის გამოსაწვევად კი—კაი საშუალებაა.

მობენეფისეს, ქ-ნს კარგარეთელს, დარბაზი ტაშის-კვრით შეეგება· წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო..

რუსეთი

რევოლიუციონური მოძრაობა. იმიერ ბაიკალის მხარეს (ციმბირის ნაწილია) რევოლიუციონერებს 25,000 ბერდანის თოფი (სალდათისა), ზარბაზნები და ასაფეთქებელი მასალა ჰქონიათ. ეხლა ქ. ჩიტასა და სახელოსნოებში იარაღს ართმევენ ხალხს, მაგრამ ერთი ნაწილი იარაღისა ჯერ ვერ უპოვნიათ. ქალაქი და მუშების უბნები ჯარმა ისე დაიჭირა, რომ წინააღმდეგობა არავის გაუწევია. დაიჭირეს 200 კაცამდის, მაგრამ ზოგნი მიიმალნენ. დაიხურა ყველა რევოლიუციონური მიმართულების გაზეთები, სტამბები დაბეჭდეს; რედაქტორები და გამომცემლები დააპატიმრეს.

როგორც გაზ. „რუს. ვედ.“-ს ატყობინებენ, სახელოსნოების გაჩხრეკის დროს ჩიტაშივე უპოვნიათ 100 ფუთი პიროქსილინი, ყუმბარები სხვადასხვა სისტემისა და ჯოჯოხეთის მანქანები. დაუპატიმრებიათ რკინის გზის ბატალიონის ჯარის კაცნი· დაპატიმრების დროს მოჰკლეს ამავ ბატალიონის პოდპორუჩიკი.

ქ. პენზაში მოუკლავთ პოლიცმეისტერი კანდაუროვი მკვლელი. ადგილობრივ სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლე აღმოჩნდა.

ფოსტის გაცარცვა. ქ. ვარშავიდან „ნ. ვ.“-ს ატყობინებენ, რომ ღამე რამდენიმე შეიარაღებული კაცი დაეცა მაზრის ქ. ბლონში ფოსტის კანტორას. დასჭრეს უფროსი, ერთი მოხელე, მესამე კაცი შეჰკრეს და წაიღეს 1300 მანეთი. დაჭრილი მოხელე გარდაიცვალა.

გლეხების მოძრაობა. ქ. რიბინსკიდან „ნ. ვ.“-ს ატყობინებენ, რომ გლეხები სჩეხენ ტყეს. ქალაქიდან გაუგზავნიათ 40 საერობო დარაჯი.

აგრარული მოძრაობა და საერობო უფროსები. ტვერიდან „რუს. ვედ.“-ს ატყობინებენ, რომ აგრარული მოძრაობა და თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა „ზემსკი ნაჩალნიკებს“ აიძულებს სამსახურს თავი დაანებონ. ამ ჟამად 28 ადგილია ამ თანამდებობისა თავისუფალი და ამ ადგილების დაჭერის სურვილს აქამდე არავინ არ აცხადებს. ადმინისტრაცია ძალიან შეწუხებულია ამ გარემოებით და წინადადებას აძლევს ვისაც ჯერ არს, რომ ერობიდან დათხოვნილი მოხელეები მიიღონ ამ ადგილებზე.

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

31 იანვარი

პეტერბურგი, 31 იანვარი. „პრავ. ვესტ.“-ში დასტამბულია, აგრარულ მოძრაობის ერთ-ერთ მიზეზთაგანი ის იყო, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტში არ იყო ნახსენები კერძო საკუთრების ხელუხლებლობა. უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ სრულიად მეტი იყო და არის ამისთანა დიდებულ დროს მოგვეგონებინა კერძო საკუთრების უფლების არსებობა. ეს უფლება წმინდაა და სახელმწიფოს ძირითად კანონებით იცვის ისე, როგორც ცხოვრება და პატიოსნება კერძო პირისა.

როგორც გაზეთები იუწყებიან, გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით გამართულმა რჩევამ ის დასკვნა გამოიტანა, რომ იგი პრინციპში ღურსათ არ არის წინააღმდეგი აგრარულ არეულობისაგან დაზარალებულ მემამულეებს ფული ესესხოთ.

რიგა, 31 იანვარი. სადგურ დვინსკის ვოკზალის ახლოს იპოვნეს კალათი 7 ბომბით. გამოძიება სწარმოებს. ბაისკის მაზრაში გაძლიერებულ დაცვის წესები გამოცხადდა.

ვარშავა, 1 თებერვალი. ღამით ვოლსკი დაბას ჯარი შემოერტყა გარეშემო და გაჩხრიკა ყველა კერძო ბინები და დუქნები. ბევრი კაცი დაიჭირეს. გრიბნი ქუჩაზე მოჰკლეს გოროდოვოი, მეორე მძიმეთ დასჭრეს და წაიღეს მოკლულ-დაჭრილის რევოლვერები და მიიმალნენ. არყის დუქნიდან შეიარაღებულმა მძარცველებმა წაიღეს დღხნის ქუჩაზე მთელის დღის დახლი·

ლიუბლინი. ხალხის თვალწინ რევოლვერით მოჰკლეს გმინის ვოიტი რუდნო, როცა იგი სუდარში შედიოდა. მკვლელი მიიმალა.

კრასნოიარსკი. უკანასკნელ დროს მოჰკლეს 7 მეეტლე და რამდენიმე დასჭრეს. ფიქრობენ, რომ ისინი ამიტომ დასაჯეს, რომ ნოემბრის გაფიცვაში არ იღებდნენ მონაწილეობას.

ბელოსტოკი, 1 თებერვალი. გოროდოვოიმ ბომბა იპოვნა სარდინკის კოლოფივით გაკეთებული. მან არ იცოდა რა იყო კოლოფში, აიღო და კედელს მიახეთქა ბომბამ იფეთქა და დასჭრა იქვე მიმავალი ქალი და გოროდოვოი. ქალაქში პატრული დადის.

რიგა, 1 თებერვალი· ღამის ორ საათზე გაათავეს ორი საქმის გარჩევა. პირველ საქმეში მონაწილე შტეინბერგსა და ვაძეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს უაზნერუსების მოკვლისთვის, მეორე საქმისთვის გერმანიის ქვეშევრდომს იოგანსონს და გლეხს ზემმელს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა პოლიციისათვის იარაღის აყრისთვის, გლუხი ამისტი-კი გაამართლეს.

ოდესა. ალექსანდროვსკი პროსპექტზე იპოვნეს ქაღალდში გახვეული სამი ბომბა. დაიჭირეს 12 ანარქისტი.

ლიბავა. 1 თებერვალი პროსკურინის ახლო დაეცნენ იარაღით ხელში 6 დრაგუნს. სამი დრაგუნი დაიჭრა, ერთი დამსხმელთაგანი მოკლულ იქნა. ქალაქ გაზენფოტში დახვრიტეს 4 მეამბოხე, ორიც ჩამოახრჩვეს.

ხარკოვი, 1 თებერვალი. დილის 10 ს. გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოსწავლემ გობიანმა, პოლონელმა შთამომავლობით, რევოლვერით მსუბუქად დასჭრა ამავე გიმნაზიის ინსპექტორი დინცე.

ოდესა. ადესის დამთვნის საქმე გათავდა. პალატამ ყველა გაამართლა.

ირკუტსკი, 1 თებერვალი. რკ. გზის სადგურზე გაკრულია გენ.-გუბერნატორის განცხადება, რომლითაც ეკრძალვის დასავლეთისკენ მიმავალთ ისე წავიდნენ, თუ კეთილსაიმედოების მოწმობა არ აქვთ.

პეტერბურგი, 1 თებერვალი. პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭოს თათბირი ჰქონდა სემინარიელების მიღებაზე უნივერსიტეტში. იურიდიულმა და აღმოსავლეთის ფაკულტეტებმა დაადგინეს მიიღონ 6 კლას განათავები სემინარიელები, ისტორიკო-ფილოლოგიურზე განზრახული მიიღონ ოთხ კლასიანნიც. რადგანაც უთანხმოება ჩამოვარდა, ამიტომ ჯერ საბოლოოდ არ გადაუწყვეტიათ საქმე.

მოსკოვი, 1 თებერვალი. სტამბის მუშის ბინაზე დაიჭირეს რევოლიუციონური კომიტეტი თათბირის დროს. დაჭერილებში 2 სტუდენტია, ერთი კურსისტკა, ერთი ახალგაზდა ვაჟი და ერთიც ახალგაზდა ქალი. დაჭერილთაგანში ყველაზე უფროსი 23 წლისაა.

პეტერბურგი, 1 თებერვალი. დღეს სახელმწიფო საბჭომ მიიღო ახალი კანონ-პროექტი კრებების შესახებ, ამ კანონის ძალით რწმუნებულების არჩევა შეიძლება პოლიციის დაუსწრებლად, რომელსაც უნდა ეცნობოს კრების შესახებ. დეპუტატების არჩევას კი სრულებით არ ესხება პოლიცია. ამ კანონს მომავალ კვირას გამოაქვეყნებენ.

ლონდონი, 1 თებერვალი გადასახლეს 5 რუსის პოლიტიკური ემიგრანტი თანახმად კანონისა ემიგრანტების შესახებ.

პეტერბურგი, 1 თებერვალი. იაპონიიდან იუწყება ტყვეების გადმოყვანის განმკარგულებელი კომიტეტი, რომ უკანასკნელი გემი ტყვეებით იაპონიიდან 7 თებერვალს წამოვა. 21 იანვრამდე მოვიდა 10 გენერალი, 2 ადმირალი, 1066 აფიცერი, 51,330 ხმელეთის ჯარის-კაცი და 8,763 მეზღვაური.

ბერდიჩევი. ვოკზალზე დააპატიმრეს ჟიტომირიდან ოთხი ბომბის მომტანი ებრაელი დევიცკი, 18 წლისა, რომელმაც თავის თავს ჩერკასის გიმნაზიის მოსწავლე უწოდა.

პეტერბურგი, 2 თებერვალი. „ნაროდნოე სვობოდა“-ს ყოფილი რედაქტორები ჰესენი და მილიუკოვი გამოსცემენ კონ.-დემოკრატიულ გაზეთს, რომელსაც „სპრავედლივოსტ“-ი ერქმევა სახელად. გამომცემლად ასახელებენ მას, რომელიც „ნოვოსტი“-ს გამომცემელია ამჟამად.

სევასტოპოლი, 2 თებერვალი. ოჩაკოვის პროცესის მონაწილე დამცველები და მოსამართლეები ოჩაკოვზე 5 თებერვალს წავლენ. პროცესი 7 თებერვალს დაიწყება და ორს კვირას გასტანს.

რიგა. ალექსანდროვსკი გიმნაზიის დირექტორის მოკვლა განიზრახა მეხუთე კლასის შაკირდმა, მაგრამ გაჰკაწრა მხოლოდ ხანჯლით. ბოროტ-გამზრახველი შეიპყრეს

ლონდონი. „ტრიბუნას“ პეკინელი კორესპონდენტი ტელეგრაფით იუწყება, ყველა უცხოელი მისიები გააფრთხილეს პეკინში, რომ მათ საფრთხე მოელით. გერმანიის მისიას ერთი სავსე ბატარეა მოუვიდა. ჩინეთში მდგომარეობა რთულდება. არეულობა, ალბათ, სამხრეთით დაიწყება და შემდეგ ჩრდილოეთისკენ გადავა.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ის ცნობით უკანასკნელ კვირის განმავლობაში გაჩხრეკისა და დაჭერის დროს ბევრი ბომბა, რევოლვერი, ვინტოვკა და ასაფეთქებელი იარაღი იპოვნეს ლოძსა, მინსკსა, ვარშავასა, ვილნოსა, იაროსლავლსა, სევასტოპოლსა, პეტერბურგსა, ქუთაისსა, ტფილისსა, პენზასა, სამარასა, კროლნოსა, ბალონსა, ადესასა და ბელოსტოკში. დნეპროვსკი მაზრაში დაატუსაღეს 7 კაცი, რომელთაგან ერთი მეფეს უწოდებდა თავის თავს, სამი ელჩსა და სამიც გენერლებს. მეფედ წოდებული წითელ ხალათში იყო ჩაცმული და თავზე წითელი ქუდი ეხურა.

ლიბავა. მძიმეთ დასჭრეს უბნის ზედამხედველი მროზი. დამჭრელი დაატუსაღეს·

ქუთაისი, 2 თებერვალი. შორაპნის მაზრის სოფ. საზანოში რამდენიმე ათეულმა შეიარაღებულმა კაცმა თოფები ესროლეს აზნაურ მდივნების სახლებს.

რიგა. დილით მძარცველები შეცვარდნენ ებრაელ ქალის ჰერცბერგის ბინაზე, შეჰკრეს მოსამსახურე, მოჰკლეს ჰერცბერგი, გაძარცვეს მისი ბინა და მიიმალნენ.

ჰელსინგფორსი, 2 თებერვალი. „რუს“-ის ცნობა, ვითომც ტერიოკში გაჩხრეკის დროს ბევრი იარაღი ეპოვნოთ, ირღვევა ფინლიანდიის გაზეთების მიერ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 თებერვალი

პეტერბურგი. უმართებულესმა სენატმა 31 იანვარს შემდეგი დაადგინა: 1. დამქირავებელნი არ არიან ვალდებულნი მისცენ მუშებს ხელფასი გაფიცვის დროს, რანაირიც უნდა იყოს იგი; 2· გაფიცვითა ან რაიმე ძალადობით გამოწვეული შეწყვეტა მუშაობისა არ არღვევს დაქირავების პირობებს; 3. დამქირავებელთ არ შეუძლიათ აზღვევინონ მუშებს გაფიცვით მიყენებული ზარალი.

ვენა. ფეიერვარი ხელახლა მოვიდა ვენაში. ეჭვს გარეშეა, რომ მის მოსვლას კავშირი აქვს იმ ზომებთან, რომელნიც უნდა იქმნან მიღებული პარლამენტის დათხოვნის შემდეგ·

პეტერბურგი, 31 იანვარი. სახელმწიფო შემნახველ კასის განყოფილებაში, ზაბალკანსკი პროსპექტზე, შევიდნენ 6 შეიარაღებული პირნი. კასსთან ამ დროს იყვნენ, სხვა ფულის შემტანელთ გარდა, უბნის ზედამხედველი პატეუკი ცოლით, რომელთაც 3200 მ. შეჰქონდათ კასაში შესანახად. ბოროტ-გამზრახველთაგანში ერთი რიდე ათვარებული იყო, რომელმაც დაიყვირა: „ადგილიდან არ დაიძრათ, თქვენ დატყვევებული ხართ“. პატეუკი მივარდა ბოროტ-გამზრახველს უკანიდან და ხელები ჩაავლო მხრებში, მაგრამ იგი მიუბრუნდა, დაახალა რევოლვერი და იქვე გაასართხა იატაკზე. ქმარს ცოლი მიეშველა, მაგრამ ისიც დასჭრა ბოროტ-გამზრახველმა. ამავე დროს 1 ბოროტ-გამზრახველი მივარდა კასას, ესროლა მეკარეს და შეეცადა ფულიან ყუთის წაღებას. არც ერთი ტყვია არ მოხვდა მეკასეს, რომელიც შეებრძოლა მსროლელს; უკანასკნელმა კიდევ გაისროლა რამდენჯერმე და რამდენიმე კერძო პირი დასჭრა. მაგრამ ამ დროს მეკასე ნემჩინოვმა მოახერხა მსროლელისთვის რევოლვერი გამოეტაცნა, რომლის ტარი ისე მაგრად დაჰკრა თავში, რომ ბოროტ-გამზრახველი იქვე დაეცა თავბრუ დახვეული. იქ მყოფნი გაიქც-გამოიქცნენ, მაგრამ მათ რევოლვერების სროლით შეხვდნენ კარებში, ალბათ თანამონაწილეები იყვნენ,—და იძულებული გახდნენ შიგ შებრუნებულიყვნენ. დაჭრილმა ბოროტ-გამზრახველმა ქაღალდზე დაწერა თავისი გვარი „ვორობიოვ“-ი და განაცხადა, რომ ამხანაგებს შემდეგ გასცემს. დაჭრილები ყველა სავადმყოფოებში წაიყვანეს. ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ შეუძლებელი იყო მძარცველების დაჭერა. კასაში ფული ხელუხლებელია. —პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა ბრძანება გასცა, რადგანაც იყო შემთხვევა შემნახველ კასაზე დაცემისა, ამიტომ გააძლიერეთ ყურადღება, როგორც გარეთ, ისე შიგნით, შემნახველ კასებში. რადგანაც რამდენჯერმე დაირღვა წესიერება, ამიტომ მოგანდობთ, დაუყოვნებლივ შეთანხმებით სამხედრო განყოფილებათა უფროსებს, გამოჰგზავნოთ ხოლმე არეულობის ადგილას რაზმები და პატრულები.

პეტერბურგი. სააგენტომ სარწმუნო წყაროებიდან მიიღო ცნობები, რომ „ნაშა ჟიზნ“-ის ცნობა კავკასიის ნამესტნიკად ტრეპოვის დანიშვნის შესახებ უსაფუძვლოა.

ლონდონი, 31 იანვარი. ფინლიანდიის ემიგრანტებმა, რომელნიც ამერიკისაკენ მიემგზავრებოდნენ, აუწყეს, რომ ფინლიანდში შეუძლებელი გახდა ცხოვრება პოლიტიკურ პირობებისა და აგრეთვე ხელსაქმის უქონლობის გამო. თანხმად ახალ კანონისა რუსეთის ემიგრანტებს თითქმის მუდამ დღე ეკრძალვით გადმოსვლა და დარჩენა ინგლისის საზღვრებში; ინგლისიდან იგზავნებიან აგრეთვე ის ემიგრანტებიც, რომელთაც დიდი ხანია იქ უცხოვრიათ. გუშინ არ გადმოუშვეს ინგლისის მიწა-წყალზე ერთი ემიგრანტი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია რიგის აჯანყებაში. გაზეთი „ტრიბუნა“ წინადადებას აძლევს მოისპოს ეს კანონი, რადგანაც ინგლისში ნამდვილად ისპობა უფლება, რომელიც შესძლებას აძლევდა თავი შეეფარებინათ ისეთ პირთ, რომელთათვის ძლიერ საშიშროა ეს ამ არეულობის დროს·

ათინა, 1 თებერვალი. სამხედრო პირების დეპუტატებმა პალატაში არეულობა მოახდინეს, რათა ხელი შეეშალათ იმ კანონპროექტის დამტკიცებისთვის, რომელიც პალატაში სამხედრო პირების დეპუტატების არ დაშვებას შეეხებოდა. ეტყობა, რომ აუცილებელია პალატის დათხოვნა.

მიტავა, 1 თებერვალი. ყველაზე უფრო მეამბოხე ვოლოსტ დონდანგენში გაიგზავნა ქვეით ჯარისა და კავალერიის ძლიერი რაზმი ორის ზარბაზნითა და ტყვიის მტყორცნელებით.

2 თებერვალი

ვენა. უნგრეთის სოციალისტების ორგანო იუწყება, სოფლელ მუშათა შორის ორგანიზაციის საქმე ძლიერ მიდის წინ. გაზეთს უნდა მიახვედროს მკითხველები, რომ ორგანიზაციის გათავების შემდეგ, აგრარული გაფიცვა დაიწყება·

მოსკოვი, 1 თებერვალი. საარჩევნო სიაში შეიტანეს 102,000 პირი. ჯერ-ჯერობით ყველაზე ძლიერია 17 ოქტომბრის პარტია.

ხარკოვი. გიმნაზიის ინსპექტორ გინცეს მოკვლის გამზრახველი მოსწავლე ავადმყოფი ბავშვია. ინსპექტორის მოკვლა განიზრახა იმიტომ, რომ იგი დაითხოვეს გიმნაზიიდან, როგორც ქიმიურ ობსტრუქციაში ვითომც მონაწილეობის მიმღები.

კიევი, 1 თებერვალი. ზმელნიცკის ათთიასქის საწყობში აღმოაჩინეს 8 პიროქსილინიდან დამზადებული ასაფეთქებელი ნივთიერება.

ოდესა, 1 თებერვალი. საიდუმლო პოლიციამ დაიჭირა ნაწილი იმ ბრბოსი, რომელიც თავისთავს რევოლიუციონერ-კომუნისტებს უწოდებდა და მაღაზიებს ძარცვავდა.

პეტერბურგი. „სლოვო“ იუწყება, 1 თებერვალს დამტკიცდა სახელმწიფო საბჭოში ახალი კანონი კრებების გამართვის შესახებ. ახალი წესებით ყველა საჯარო კრება ადმინისტრაციას დაექვემდებარება, გარდა იმ კრებებისა, რომელიც გამართება სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების მოსახდენად. საჯარო კრება ერქმევა ისეთ პირებისგან შემდგარს, რომლების სახელი და გვარები არ იცის ადმინისტრაციამ. წესებში ნათქვამია, რომ პოლიციამ სამის დღის წინ უნდა გაიგოს კრების გამართვა. ცის ქვეშ საჯარო კრების გამართვა არ შეიძლება გამოცხადებითის წესით; ამისთვის საჭიროა ადმინისტრაციის თანხმობა. კრებებზე მონაწილეობის ნება არ აქვთ სამხედრო უწყების უბრალო წევრებს და საშუალო და დაბალ სასწავლებლების მოსწავლეებს და აგრეთვე მცირე წლოვანთ. აკრძალულია ისეთი საჯარო კრებები, რომლებზედაც მონაწილეობენ შეიარაღებულები, თუ ლაპარაკია ისეთ რამეებზე, რაც საწინააღმდეგო იქნება სისხლის სამართლის კანონებისა და საზოგადოებრივ ზნეობისა, ანა და ემუქრებიან ამავე ხასიათის უშიშროებას. თუ ხალხის დაუსწრებლად გამართული კრება ცადაიქცა საჯაროთ, იმ შემთხვევაში პოლიციას ნება აქვს დამორჩილება მოითხოვოს· იმ შენობებში, სადაც მაგარი სასმელებით ვაჭრობენ, კრების გამართვა არ შეიძლება. თუ ვინმე კრებას გამართავს ადმინისტრაციის ნებადაურთველად, იგი დაჯარიმებულ იქნება არა უმეტეს 3 ათასი მ.ნეთით, ან დატუსაღებულ იქნება არა უმეტეს სამის თვით.

ტომსკი. გენ.-გუბერნატორის დადგენილებით სამსახურიდან იქნენ გადაყენებული პროფესორი და ორი მასწავლებელი ტომსკის ტექნოლოგიურ ინსტიტუტისა.

პეკინი. ძლიერდება ღელვა უცხოელების წინააღმდეგ. იმ ჯარებს, რომელნიც მისიებს იცავენ, ბრძანება მოუვიდათ მზათ იყვნენ. 6 პოლკი არტილერიით გაგზავნილ იქნა პეკინოდან ცინჯოუში. მთავრობამ გააძევა სატახტო ქალაქიდან ჯარში აგიტაციის გამო ყველა საიდუმლო საზოგადოების წევრები.

კოვნო. სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა განკარგულება მოახდინა, სახალხო სკოლების გამგეებათ დანიშნონ რუსები შთამომავლობით, ლატიშებს კი შეუძლიათ მეორე მასწავლებლობა.

პოლტავა, 2 თებერვალი. „პოლტავსკოე დელო“ იუწყება, რომ გადიაჩის ციხეში შიმშილი განაცხადეს ტუსაღებმა.

მიტავა. იუწყებიან, ყველაზე უფრო მეამბოხე ვოლოსტ დონდანგენიდან მცხოვრებლებს გადაასახლებენ და მათ ადგილზე ჩაასახლებენ ესტონელ სტაროობრიადცებს

დონის-როსტოვი. დაატუსაღეს აღმასრულებელი რევოლიუციონური კომიტეტი, რომელშიაც შედიოდა 8 კაცი და 6 ქალი.

ბახმუტი- იუზოვკაში დაატუსაღეს მაჰმადიანთა მოლა გაიდაროვი. გაჩხრეკის დროს მისას საპოლიციო ფორმა იპოვნეს, რომელშიაც იგი ქუჩებში გამოდიოდა თურმე. ჩვენების ჩამორთმევის დროს მან განაცხადა, რომ იგი არ ემორჩილება რუსის კანონებს. გაიდაროვი ბახმუტში მოიყვანეს.

ლონდონი, 2 თებერვალი. „ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ი იუწყება, რომ 18 იანვარს დიდი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც სულ ერთიანად დაანგრია ქალაქები ტუმაკოსა, ბუენავენტუროსა და კოლუმბიას შორის.

ბახმუტი, 2 თებერვალი. სამხედრო გენ.-გუბერნატორი აცხადებს, თუ გლეხებმა კიდევ გაჰბედეს და დაიწყეს ან მუშები გააძევეს მემამულეების მამულებიდან ან რაიმე არეულობა მოახდინეს, მაშინ ულმობლად იქნება აღდგენილი წესიერებათ. იმ სოფლებს, რომლებშიაც არეულობა მოხდება, არტილერია გაანადგურებს.

ვილნო. ალშვანგის მაღაზიაზე თავდამსხმელნი სამხედრო სამართალში მისცეს.

ტომსკი გენ.-გუბერნატორი აცხადებს, საჭიროთ იქნა ცნობილი, რომ ძალადობისა და თავდასხმის საქმე მთავრობის დაწესებულებებს ან თანამდებობის პირებზე, სამხედრო წესით იქნას წარმოებული.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

„ცნობის ფურცელზე“

ხელის მოწერა მიიღება: **ჭიათურაში** ბ-ნ **სოფ. ტარიელიშვილთან** ჭიათურის საურთიერთო კრედიტის ბანკში. იქვე იყიდება ცალკე ნომრები. **ქუთაისში** ბ-ნ ის. კვიცარიძესთან. იქვე იყიდება ცალკე ნომრები.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ აფიშის ბოძები წელს არ გაცემულა იჯარით, ამიტომ აფიშები და განცხადებანი ბოძებზე გასაკრავად წარდგენილ უნდა იქნას გამგეობის მეოთხე განყოფილებაში. (2—6.—2)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

ოთხი წიგნი

!!!ნ ე რ გ ი!!!

ოთხი წლისათვის საკითხავი, საწერი და საგრამატიკო მასალით ანბანითურთ,—სკოლებში, ოჯახებში და მოზრდილთათვის სახმარად. შეიცავენ რჩეულ წერილებს ძნელი სიტყვების განმარტებით.

თვითეული წიგნი ღირს 20 კაპეიკი გაგზავნით. წიგნთ მოვაჭრეებს და სკოლებს დაეთმობათ 15 კაპეიკად. გასაცნობად გამწერთ შეუძლიანთ წიგნების ფასი მარკებით გამოგზავნონ. მზადდება მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე წლების წიგნებიც ამავე სახელით. ადრესი: въ Тифлисъ, Тумановскій пер. 38. Ивану Павловичу Ростомашвили.

აქვე იყიდება სახლი, ცხრა ოთახი და სარდაფი 80 საჟენი მიწით, ბანკის ვალი 3600 მანეთი, დასამატი 2400 მანეთი. წყნარი ადგილი და სუფთა ჰაერია. (10—1)

ტფილისის მოქალაქენო! ტეხნიკოსი,

ყოფილი იუნკერი **კოსირევი** იუნკერთა სასწავლებლიდან დამითხოვეს და უსახსროდ დავრჩი ტფილისში. ვეძებ რაიმე სამუშაოს, შემიძლებ მათემატიკის, რუსულ ენის და ხაზვა-ხატვის სწავლებას გიმნაზიის 4 კლასის მოწაფეთათვის. შემიძლია სამხატვრო და მიწის ზომვა-გამიჯვნის საქმეები ვიკისრო, ვიყო ზედამხედველად ასაგებ შენობებზე და სხვა. შემიძლია ქალაქ გარედაც მივიღო საქმე.

მოქალაქენო! თუ შეგიძლიათ ამგვარად დახმარება, წერილობით შემატყობინეთ „ცნ. ფ.“-ის რედაქციის ადრესით. (უ. 3—3)

✦ კ ბ ი ლ ე ბ ს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ელოკნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—30)

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართ. ამხ.“-სა. განჯის დიდი ქუჩა. ტელეფონი № 372